ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 9 აგვისტო, 2021 №145 (8674) ფასი: 60 თეთრი

კუჭავა: „5 ივლისის ორგანიზატორები უნდა დაისაჯონ“

გვ.4

„გახარიას პარტიიდან თბილისის მერად გახდომის შანსი მხოლოდ თავად გახარიას აქვს“

კახა კუკავა: „კალაძის შანსები დანარჩენებისას აღემატება, თუმცა სექტემბერში კრიზისმა შეიძლება შანსები შეცვალოს“

გვ.3

„ფაქტები მაქვს, არჩევნებზე როგორ გაიყვეს ჩვენი ხმები“

გიორგი გუგავა: „როდესაც დღეს ერთს ამბობ, ხვალ მეორეს აკეთებ და ზეგ მესამისთვის ემზადები, ეს პოლიტიკოსობა და პრინციპულობა არ არის. ამით ივანიშვილს ვერ დაამარცხებ“

გვ.2

„წულუკიანი ბოლშევიკი კომისარია, ტყავის ქურთუკი და მაუზერი აკლია“

გვ.2

შოთა მალაშხია: „2024 წლამდე მოსახლეობა „ქართულ ოცნებას“ ვეღარ მოითმენს“

გვ.4

„ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები არ აწყობს“

რამაზ საყვარელიძე: „სრულიად გაუგებარი და აუხსნელია, როდესაც ტრიბუნა გაქვს, საარჩევნო სუბიექტი ხარ და ხმას არ იღებ“

გვ.3

ეკატერინე ტიკარაძე: „ისევ ჩავიცვამ თეთრ ხალათს და ჩვენი გმირი ექიმების გვერდით დავდგები“

გვ.4

„რუსეთმა ომი 7 აგვისტოს დაიწყო“

გურამ ვახტანგაშვილი: „ჩვენებს არც საარტილერიო სროლები ჰქონდათ დაწყებული და არც სნაიპერული“

შს მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო

გვ.5

ISSN 1987-9385

5 ბორჯომის ცენტრში კრიმინალური ავტორიტეტი ლევან ნამგალაძე მოკლეს

5 ნინი ცეცხლაძის საქმეზე მის ბაბუას 1 წელი მიესაჯა

5 „ჩემი ლიკვიდაცია უნდათ“ ნიკა გვარამია სუსში გამოიკითხა

6 ბაიდენმა ჰონკონგელ ლტოლვილებს აშშ-ში დარჩენის ნება მისცა

„ფაქტები მაქვს, არჩევნებზე როგორ გაიყვეს ჩვენი ხმები“

გიორგი გუგავა: „როდესაც დღეს ერთს ამბობ, ხვალ მეორეს აკეთებ და ზეგ მესამისთვის ემზადები, ეს პოლიტიკოსობა და პრინციპულობა არ არის. ამით ივანიშვილს ვერ დაამარცხებ“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ თქვა უარი „ლეიბორისტულმა პარტიამ“ მელიასა და ხოშტარიას მხარდაჭერაზე? რა გახდა მათთვის წითელი ხაზი და რა თანამშრომლობა ექნებათ ოპოზიციასთან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს.

– ორი თვეც აღარ არის დარჩენილი არჩევნებამდე. თუ გაქვთ დაწყებული აქტივობები და ხვდებით ამომრჩეველს? რა შეგიძლიათ თქვათ – რა განწყობებია ხალხში?

– რა თქმა უნდა, ჩვენ მუდმივად ცოცხალი კონტაქტი გვაქვს ამომრჩეველთან და საერთოდ ჩვენც ამ ხალხის და ამ სოციუმის ნაწილი ვართ. წარმოუდგენელია, რომ ხელისუფლებამ ეს არჩევნები მოიგოს, იმდენად ნეგატიური განწყობებია მის მიმართ. არის გულგატეხილობაც ამომრჩეველში ოპოზიციის მიმართ, რომელმაც გატეხა თავისი სიტყვა, შევიდა პარლამენტში და ამით შესაძლებლობა მისცა ივანიშვილის ხელისუფლებას, რომ კვლავ გაძლიერებულიყო, მაგრამ მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულებაა ხელისუფლების მიმართ და ისინი მზად არიან, ამ არჩევნებში უარი თქვან „ოცნებაზე“. ეს არჩევნები ოდნავ მაინც სამართლიანად თუ ჩატარდება, ხელისუფლებას არანაირი შანსი არ აქვს არათუ 43%-ის აღების თვალსაზრისით, არამედ სათუოა, 30%-იან ზღვარსაც კი გადააჭარბოს.

– ამას აჩვენებს კვლევებიც, მაგრამ რა შანსები აქვს ოპოზიციას, რომლის მდგომარეობაც არ არის სახარბიელო იმ კვლევებით. ახსენეთ პარლამენტში შესვლა, მაგრამ ოპოზიციისგან ხალხი ელოდა საერთო კანდიდატებს, თუმცა ამ პროცესს ოპოზიციის თითქმის ნახევარი არ შეუერთდა, მათ შორის, თქვენი პარტიაც. რატომ?

– ჩვენ ერთადერთი პარტია ვართ, ვინც საკუთარი სიტყვის ერთგულად დარჩა. არ მოაწერა ხელი შარლ მიშელის დოკუმენტს და არ შევიდა პარლამენტში. ამის გამო სადამსჯელო ღონისძიებებიც კი განახორციელა ივანიშვილმა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ლამის პარტიაც კი აკრძალა. ეს ყველაფერი კი განაპირობა იმან, რომ ოპოზიციის ნაწილმა გატეხა სიტყვა. ზოგი მიეყიდა, ზოგი გაურიგდა, ზოგი დამორჩილდა ოლიგარქის ნებას.

– ამის გამო არ შეუერთდით ოპოზიციის ერთი ნაწილის ერთობას საერთო კანდიდატების დასახელებასთან დაკავშირებით?

– ამიტომ ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა – უკომპრომისო ბრძოლის გზა. ჩვენ დამოუკიდებლად მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, ჩვენ დავასახელეთ ჩვენი კანდიდატურები თბილისის მერად და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად. დარწმუნებულები ვართ, რომ გვექნება მნიშვნელოვანი წარმატება. რადგანაც ხალხს სჭირდება თავგანწირული პოლიტიკური ძალები და ლიდერები. ასეთები ვართ ჩვენ. სწორედ ამიტომ, მოსწონთ თუ არა ლეიბორისტული პარტია, ამის მიუხედავად, ახლა უნდა მოხდეს მასობრივი მხარდაჭერა. რადგანაც ყველამ – პოზიცია იქნება თუ ოპოზიცია, იცოდეს, რომ ხალხისთვის მიცემული პირობა არის ღირებული და მას უნდა აღსრულება. პრინციპულ და მებრძოლ პარტიას მხარდაჭერა სჭირდება იმის გამო, რომ ეს წესი დამკვიდრდეს მომავალში.

– ყველა არჩევნებზე ამას ამბობთ ხოლმე „ლეიბორისტული პარტია“, მაგრამ საკმარის ხმებს ვერ იღებთ იმისათვის, რომ ხელისუფლება დაა-კომპლექტოთ. ახლა რა შეიცვალა და რა გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ამომრჩეველი ახლა მაინც დაგიჭერთ მხარს?

– გარანტია ამ ქვეყანაზე არაფერი არსებობს, მაგრამ მე კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი პარტია, რომელმაც საკუთარი სიტყვა დაიცვა, საკუთარი პირობა დაიცვა და თავგანწირვით იმოქმედა. ამ პოზიციის გამო, რომ ხალხის ინტერესები და სახელმწიფოს ინტერესები დაგვეცვა, ამის გამო ჩვენ დავისაჯეთ. ლამის აკრძალა ივანიშვილმა ჩვენი საქმიანობა. ამის გამო მასობრივი მხარდაჭერა სწორედ „ლეიბორისტულ პარტიას“ უნდა გვქონდეს. ჩვენ ვაჩვენებთ თავდადება და მხოლოდ ასეთ თავდადებულებს შეუძლიათ სახელმწიფოს მშენებლობა და არა ვაჭრუკანებს და კარიერისტებს.

– საბოლოო ჯამში ასეთი გამოვიდა „ნაციონალური მოძრაობაც“, რომელიც არ შეუერთდა დოკუმენტს, მაგრამ პარლამენტში შევიდა?

– კონკრეტული სახელებითა და გვარებით ლაპარაკს არ დავიწყებ, მაგრამ ერთადერთი პარტია ჩვენ ვართ, ვინც არ გატეხა სიტყვა. ხომ გახსოვთ, ჩვენ ვიყავით მთავარი გამაერთიანებელი და საერთო ფრონტის შემქმნელი. ამ ბოიკოტმა და ერთიანობამ კუთხეში მიაყენა ივანიშვილი, მაგრამ სამწუხაროდ, ვნახეთ, როგორ მოიქცნენ პარტიები. ამიტომ მათ მიმართ ნდობა არ არსებობს. როდესაც დღეს ერთს ამბობ, ხვალ მეორეს აკეთებ და ზეგ მესამისთვის ემზადები, ეს პოლიტიკოსობა და პრინციპულობა არ არის. ამით ივანიშვილს ვერ დაამარცხებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენ თავზე. ჩვენ ვიქნებით ასეთივე პრინციპულები, თავგანწირულები და სიტყვის პატრონები, რომელიც დავდეთ ქართველი ხალხის წინაშე.

– ეს იყო წითელი ხაზი თქვენთვის?

– რა თქმა უნდა, ჩემთვის კი არა, ეს არის წითელი ხაზი ქვეყნისთვის და ამომრჩევლისთვის. ბოიკოტი რომ დაირღვა, ამის შემდეგ გაძლიერდა ივანიშვილი და ამის მერე დატრიალდა ათასი უბედურება ამ ქვეყანაში – ამის მერე მოხდა მოსამართლეების დანიშვნა და პირობის დარღვევა, ამის მერე მოხდა 5 ივლისის მოვლენები, სადაც ჟურნალისტებს თავ-პირი გაუერთიანეს და შეიწირეს ადამიანის სიცოცხლე. ამის შემდეგ მოახდინეს ხელშეკრულების ანულირება და ვუყურებთ ზიზღის და ბოროტების ქადაგებას, რაც მათ დაიწყეს. ეს ყველაფერი კი ამ დარღვეულმა პირობამ განაპირობა. თუ გინდა ლიდერად იწოდებოდე და გამოხატავდე ხალხის ნებას, მაშინ პირობას უნდა ასრულებდე და საკუთარ სიტყვას უნდა ასრულებდე! ამისათვის თავგანწირვაც რომ იყოს საჭირო, ეს უნდა გააკეთო. ჩვენ წაგვართვეს მატერიალური რესურსი, მაგრამ ვერ წაგვართვეს გული, რომელიც ჩვენი ხალხისთვის და სამშობლოსთვის ძგერს. ასე გავაგრძელებთ ბრძოლას.

– კოორდინაციაც არ გექნებათ სხვა პარტიებთან თუნდაც ხმების დაცვის თვალსაზრისით?

– თავისთავად გვექნება. მოგეხსენებათ, როდესაც ვამბობ, რომ დაგვსაჯეს, ამაში ისიც იგულისხმება, რომ კომისიის წევრი წაგვართვეს, რაც გვეკუთვნოდა. დაფინანსებაც წაგვართვეს. ამიტომ, ოპოზიციამ, რომელთაც კომისიებში ჰყავთ წევრები, კეთილი ინებონ და დაიცვან ხმები პატიოსნად და როგორც აქამდე აკეთებდნენ, კი არ გაყიდონ „ლეიბორისტების“ ხმები. ამ მიმართულებით კოორდინაცია და თანამშრომლობა შეიძლება, თუ პატიოსნად მოიქცევიან.

– უკვე ამასაც ეჭვობთ, რომ შესაძლოა გაიყიდონ?

– მე ამასთან დაკავშირებით ფაქტები მაქვს, ზოგიერთ რაიონსა თუ უბანზე როგორ გაიყვეს ხმები. ეს იწვევს ამ უნდობლობას.

– რა მოლოდინით ხვდებით 2 ოქტომბრის არჩევნებს?

– ეს არის ისტორიული დღე, როდესაც სახელმწიფოებრიობა და მომავალი უნდა დავიცვათ. ისტორიული რეფერენდუმია ეს და გამოკითხვა იქნება – გვინდა დამოუკიდებელი და თავისუფალი სუვერენული სახელმწიფო, გვინდა თავისუფლება, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ ღირებულებებსა და ფასეულობებზე თუ გვინდა დავკარგოთ დამოუკიდებლობა და ვიყოთ მონობაში. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი, რომელმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში საკუთარი სისხლით დაიცვა და შეინარჩუნა თავისუფლება, აირჩევს თავისუფლების და სახელმწიფოებრიობის გზას. აუცილებლად გავიმარჯვებთ.

„წულუკიანი ბოლშევიკი კომისარია, ტყავის ქურთუკი და მაუზერი აკლია“

შოთა მალაშხია: „2024 წლამდე მოსახლეობა „ქართულ ოცნებას“ ვეღარ მოითმენს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, შოთა მალაშხიას.

– თქვენ ამბობდით, რომ ოპოზიციის სტრატეგია უნდა მდგომარეობდეს ხალხისთვის ძირეული ცვლილებების შეთავაზებაში. ცვლილებები საპარლამენტო არჩევნებს შეუძლია. მაშინ ყველა აპელირებდა 43%-იან მექანიზმზე. მას შემდეგ, რაც მმართველი პარტია გამოვიდა ე. წ. მიშელის მემორანდუმიდან, ეს მექანიზმი ამოვარდა, „ქართული ოცნება“ კი ვადამდელ არჩევნებს არ გეგმავს.

– ის, რაც ხდება, ადასტურებს, რომ ის სტრატეგია, რაზეც მკითხეთ, სწორია. „ქართულ ოცნებას“ ზუსტად იმის შეეშინდა, რომ მთავარი აქცენტი გადავიდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე და მას ნიადაგი მოერყა. ეს კურსი არ უნდა შეიცვალოს. ბოლო დროს ზედაპირზე ამოვიდა კორუფციული სქემები, ხალხის გაღატაკება, კოვიდპოლიტიკის ჩავარდნა და ის, რომ ხელისუფლებაში მყოფ ელიტას ფულის შოვნის გარდა, არაფერი აინტერესებს. ამ ყველაფერს მე დავარქვი „კოვიდ 41“, რომელიც კოვიდ 19-ზე ბევრად უარესია. პანდემიასთან ბრძოლით „ოცნებამ“ „თავი ისახელა“. როცა დღე-ღამეში 20 კაცი ინფიცირდებოდა, ყველაფერი ჩაკეტა და გააუქმა. ახლა, როცა უკვე ვაქცინაც არსებობს, დღე-ღამეში 40 ადამიანი იღუპება. დაინფიცირებულთა რიცხვი ძალიან დიდია, ქვეყანაში თავისუფლად შემოდიან ტურისტები წითელი ზონიდან – რუსეთიდან. ცნობილია, რომ რუსეთში იღებენ ჯანმრთელობის ყალბ ცნობებს და ტესტირების ფალსიფიცირებულ შედეგებს.

– ამას რუსეთის სამთავრობო ტელევიზიებიც აღიარებენ. პრემიერის გარდა, რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველი კოვიდინფიცირებულები გამოვლინდნენ? მაშინაც საუბრობდით ჯანდაცვის სფეროს პრობლემებზე, ეკონომიკის მოსალოდნელ კოლაფსზე, ასევე – პოლიტიკურ კრიზისზე.

– მთავრობას მაშინაც ვაკრიტიკებდი. ლოკდაუნი სწორად არ მიმაჩნდა. კორონავირუსის საწინააღმდეგო ზომები უნდა ყოფილიყო კომპლექსური. რადგან ლოკდაუნი მაინც გამოაცხადეს, ეს დრო სათანადოდ უნდა გამოეყენებინათ. ეს არ მოხდა. მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. უფრო სწორად, უკეთესობისკენ. ხალხის მდგომარეობა გაუარესდა. ერთადერთი პროგრესი ისაა, რომ მმართველი ელიტის ისედაც კარგი მდგომარეობა მატერიალურად გაუმჯობესდა. ამ ჯგუფის ქონება გაიზარდა. ივანიშვილის სისტემაში პრემიერის გვარს მნიშვნელობა არა აქვს. ხალხზე არც წინა პრემიერის დროს უფიქრიათ და არც ახლა ფიქრობენ. შარშან, არჩევნებამდე, დენდროლოგიურ პარკში მნახველების რიგები იდგა. ირღვეოდა რეგულაციები.

2020 წლის არჩევნების შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაკეტეს ეკონომიკა. მაშინ ცესკოსთან გაიმართა საპროტესტო აქცია. იმ დღეს საკმაოდ ციოდა, ხელისუფლებამ კი გაგანია პანდემიის დროს, სიცივეში, პროტესტის მონაწილეებს ცივი წყლის ჭავლი მიუშვა. ჩვენი სამედიცინო ელიტის წარმომადგენლებმა ამაზე კომენტარი არ გააკეთეს, თქვეს, რომ პოლიტიკურ განცხადებებს ერიდებიან. ამ ხალხს ყველაფერი ერთმანეთში არეული აქვს – რაც ეხება, იმაზე არ ლაპარაკობს, რაც მართლა პოლიტიკაა და არ უნდა ჩაერიოს, იქ აქტიურობს. ბოლო დროს მოხდა კიდევ ერთი მოვლენა – უფრო ნათლად გამოაშკარავდა „ქართული ოცნების“ პრორუსული სახე, რუსული წარმომავლობა.

– ბოლო დღეებში თბილისსა და მოსკოვს შორის განცხადებების ურთიერთგაცვლა მიმდინარეობს. რით ხსნით ამ ორმხრივ მოძრაობებს?

– არიან ადამიანები, რომლებისთვისაც „ქართული ოცნების“ რუსეთთან კავშირი 2012 წელსაც ცნობილი იყო. ზოგი ამას 2016 წელს მიხვდა. ახლა ყველაფერი გაიშიფრა. რუსეთი აღარ იმალება. მოსკოვი ძალებს არ ზოგავს, რომ როგორმე შეინარჩუნოს „ქართული ოცნება“.

– იქნებ, რუსეთი კულისებიდან იმიტომ გამოვიდა, რომ ხედავს, როგორ იკიდებს ფეხს საქართველოში აშშ?

– ასეა. გარკვეული ხნის წინ სპეცსამსახურების წარმომადგენელმა ნარიშკინმა საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება იმით, რომ აშშ ერევა საქართველოს საქმეებში. „ოცნებას“ ცუდად აქვს საქმე. მას რუსეთის ღია მხარდაჭერაც ვერ შველის. აღარც რუსეთის ღია ქმედებები შველის და არც თავისი ნამდვილი სახის არდაფარვა. თვითონაც ღიად ელაქუცებიან რუსეთს. „პატრიოტთა ალიანსი“ არანაირი ოპოზიცია არ არის. „პატრიოტთა ალიანსი“ „ოცნების“ დანამატია. „ალიანსის“ წერილი პუტინისადმი სინამდვილეში „ქართულმა ოცნებამ“ გაგზავნა. იქიდანაც შემოთავაზეს, რომ მზად არიან დიალოგისათვის. მანამდე რუსეთმა სხვა ფრონტიც გახსნა – შემოიყვანა ვასაძე, რომელიც მერე მოსკოვში გადამალეს და გააქტიურა გახარია. ამით ვერაფერს მიაღწევს. 2008 წლის აგვისტოს მე-13 წლისთავს ასე შეხვდნენ. 7 აგვისტოს ომის დაწყების დღე იყო. ახლა ხომ არის გასაგები, რატომ აბრალებდნენ „ქართული ოცნების“ ლიდერები და ქვეყნის პირველი პირები ომის დაწყებას საქართველოს! სულხან საბას აქვს ერთი იგავი – მასწავლებელი ლოცავს უფლისწულს, უსურვებს, ვირის გონება მოგცესო. ვირი ტალახში რომ მოხვდება, მერე ჭკუას სწავლობს და ტალახს გაურბის. ჩვენ რა გვჭირს ამისთანა, რომ ვირი გვჯობია და სულ ტალახში ვბობღავთ! უნდა ვისწავლოთ სწორად სიარული, რომ ავაშენოთ ნორმალური ქვეყანა. მონის მონა ამას ვერ იზამს.

– დააზუსტეთ.

– „ოცნებაში“ ივანიშვილის მონები არიან, ივანიშვილი კი – პუტინის მონაა. არადა, ცვლილებები შესაძლებელია. მოლდოვამ ეს მოახერხა. მოლდოველებმა ოლიგარქი მოიცილეს და მოიყვანეს ნორმალური ხელისუფლება.

– ოპოზიცია ხალხს ისევ ცვლილებებს სთავაზობს, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ 2024 წლამდე საპარლამენტო არჩევნები არ გაიმართება.

– ამდენი ხანი ხალხი ვერ გაძლებს. 2024 წლამდე მოსახლეობა „ქართულ ოცნებას“ ვეღარ მოითმენს. ადამიანები იხოცებიან ეპიდემიისაგან, ბევრი შიმშილობს. ახალგაზრდები, რომელმაც საუკეთესო განათლება მიიღეს, ვერ ხედავენ პერსპექტივას. ასე ვერ გაგრძელდება. საქართველოს და ქვეყნის მოსახლეობას აქვს დასავლეთის დიდი მხარდაჭერა. დასავლეთი ხალხს გვერდით დაუდგება სამართლიან მოთხოვნებში. თუ ძალადობას მიმართეს, უარესს მოიმკიან. ღარიბაშვილი და კობახიძე არ არიან კადაფი და ჰუსეინი. ისინი ძლიერები იყვნენ, მაგრამ ცუდად დაამთავრეს. ბალტიის სახელმწიფოებმა და სხვებმა საქართველოს ხელისუფლებას შემოუთვალეს, რომ არ სურთ მასთან შეხვედრა. ეს ის სახელმწიფოები არიან, რომლებიც ჩვენს ინტერესებს ჩვენზე ბევრად უკეთესად იცავენ.

– საზოგადოებაში პოლარიზაციის ზრდაზე რას იტყვით? ეს ლიტერატურის სფეროშიც გამოიკვეთა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიას პარტიიდან თბილისის მერად გახდომის შანსი მხოლოდ თავად გახარიას აქვს“

კახა კუკავა: „კალაძის შანსები დანარჩენებისას აღემატება, თუმცა სექტემბერში კრიზისმა შეიძლება შანსები შეცვალოს“

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენად სწორად მოიქცა კალაძე, რომ ნაგავი თავად გაიტანა? რა კორუფციის ნიშნებს ხედავს კორპუსების მშენებლობის მიმართულებით? ვის შანსებს როგორ აფასებს თბილისის მერობისთვის ბრძოლაში და რატომ ფიქრობს, რომ გახარია ივანიშვილთან გარიგებული არ არის? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა საუბრობს.

— ის, რაც გააკეთა კალაძემ დასუფთავებასთან დაკავშირებით, ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია? როგორ იმუშავებს მის რეიტინგზე ნაგვის გატანა?

— ამ მთავრობას იმდენი საკრიტიკო აქვს, რომ არა მგონია ამაში სუსტი პოზიცია ჰქონდეს. ალბათ იმას გულისხმობთ, თავად რომ ჩაერთო და გაიტანა. მე ვფიქრობ, რომ ეს სწორი ფორმაა. ეს არც კალაძის დამსახურებაა და არც ოპოზიციის და ეს ალბათ სოციალურმა მედიამ მოიტანა, რომ იძულებულია ხელისუფლება მყისიერად მოაგვაროს საკითხები. ადრე ნაგავი რომ დაგროვდებოდა, შეიძლება თვეობით ყოფილიყო, განცხადებები გეწერა და დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლოდა. დღეს ბევრი საკითხია, რომელზეც მოსახლეობას შესწევს ძალა, ხელისუფლება აიძულოს, რომ სწრაფი რეაგირება მოახდინოს.

კალაძე ერთ-ერთია თუ ერთადერთი არა მთავრობის ჩინოვნიკებს შორის, ვინც საზოგადოებრივ აზრზე რეაგირებს. მას თავისი იმიჯი და რეპუტაცია ფეხებზე არ ჰკიდია, იგივე ღარიბაშვილისა და კობახიძისგან, ან თუნდაც ივანიშვილისგან განსხვავებით. მუშაობს იმიჯზე და როდესაც ნახა, რომ ხალხი უკმაყოფილო იყო ნაგვის პრობლემით, ადგა და მოაგვარა.

— მიზერული ხელფასი აქვთ დამსუფთავებლებს და პიარში იხარჯება მილიონობით თანხები.

— გეთანხმებით ამ ნაწილში, თუმცა უნდა ითქვას, რომ კალაძე არ არის შესაფერისი სამიზნე. ამის წინ ვნახე ინფორმაცია, რომ სოციალურ ქსელში რა რეკლამებიც მიდის, მისი პირადი სახსრებია. არ გადამიმოწმებია, მაგრამ არა მგონია, იტყუებოდეს. „ქართულ ოცნებას“ თუ ჩინოვნიკებს „დაბუსტული“ აქვს „ფეისბუქი“, რაც უკვე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებია. ამ ნაწილშიც არა მგონია კალაძის კრიტიკა სამართლიანი იყოს.

— არც იმაზე გაგჩენიათ კითხვები, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მეტროსადგურების რეაბილიტაცია ახლა იწყება?

— ამ საკითხში კომპეტენტური არ ვარ, მაგრამ როდესაც ამ მოწვევის საკრებულოს პრეზენტაცია იყო, „ოცნებამ“, თუ სწორად მახსოვს, ორი თუ სამი მეტროსადგური დაასახელა პრეზენტაციაზე, რომელიც უნდა აშენებულიყო. რა თქმა უნდა, არც ერთი სადგური არ აშენებულა და ძველები დასრულდა.

თუ ამოცანა კალაძის კრიტიკაა, მე მაქვს ჩემი პოზიცია, რატომ უნდა ვაკრიტიკოთ. დაწყებული ქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობით და გაგრძელებული გაუთავებელი მშენებლობებით.

— სკვერებს აკეთებს, პარკების რეაბილიტაციას აკეთებს, ხეებს რგავს, გამწვანებას აკეთებს...

— მოდით ვთქვათ, რომ სკვერებს ძალიან ცოტას აკეთებს, თუმცა ეკოლოგიურ მდგომარეობაში ვგულისხმობ ჰაერის ხარისხს ქალაქში, რომელიც ნაწილობრივ ბენზინის და ნაწილობრივ სამშენებლო მტვრის გამო ერთ-ერთი ყველაზე კატასტროფულია პლანეტაზე. ამის გამო ქართველ ბავშვებს ტყვიის შემცველობა უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე ნებისმიერ ევროპულ ქვეყნებში. ეს არის დედაქალაქის ნომერ პირველი პრობლემა, თუ პოლიტიკურ საკითხებს არ ჩავთვლით, რომელიც საერთოა ქვეყნისათვის. ამ მიმართულებით თითი თითზე არ დაუდია ქალაქის მერს.

ამას ებმის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი — კორპუსების მშენებლობა. ეს არის ელიტური კორუფციის თემა, რომელსაც ვერავინ ვეღარ მოუღო ბოლო. თბილისში კორპუსები აღარ შეიძლება, არ ეტევა, მორჩა. თბილისი ცხოვრობს ხუთმილიონიანი ქალაქის ტემპით, სადაც საცოცხებში შესაძლოა საათობით იდგე. მილიონიანი ქალაქები — სტოკჰოლმი, ბრიუსელი თუ სხვები ასეთი ტემპით არ ცხოვრობენ. ეს არის პრობლემა, რომ სადაც კი მოინდომებ, შეგიძლია კორპუსი ააშენო.

პრობლემაა ზონალური პარკირებაც. „სითი პარკი“ გააგდეს იმის გამო, რომ 50 ლარს გვახდევინებდნენ წელიწადში და შემოიღეს სისტემა, სადაც თითოეულ თბილისელს რამდენიმე ასეული ლარის გადახდა მოუწევს.

— კორუფციის ნიშნებზე მიანიშნებთ?

— მშენებლობის ნაწილში ეს არის ელიტური კორუფცია, თუმცა მოსახლეობამ კარგად რომ გაიგოს, უნდა დავაზუსტოთ, რომ შესაძლოა ეს იყოს ლეგალური კორუფცია. სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში კორუფცია ლეგალიზებულია.

სამშენებლო კომპანია აშენებს კორპუსს იქ, სადაც წესით არ უნდა აშენდეს, თუმცა ლეგალურია იმიტომ, რომ ნებართვას იძლევა ხელისუფლება. რაც შეეხება იმას, ამაში ქრთამს იღებს თუ არა დედაქალაქის ხელმძღვანელობა. ეს საკითხი მოითხოვს გამოძიებას და ალბათ დადგება ეს დრო. გვახსოვს, რომ შევარდნაძის დროს ასე იყო, რომ ჩადო კონვერტში ფული და ვიღაცას მიუტანო. ახლა ცოტა გართულებულია. არის ასეთი ცნობილი მშენებელი და დეპუტატი ილია წულაია, რომელიც არის პარტნიორი იგივე დედაქალაქი მერის ან სხვა ჩინოვნიკის და შესაძლოა კორპუსის აშენებისთვის ქრთამს არ იხდის. შეიძლება ამას ნეპოტიზმი ეწოდოს, თუმცა ისიც ნათესაურ კავშირებს გულისხმობს. საერთო ჯამში ეს ელიტური კორუფციის ნაწილია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მშენებელი ფულს იხდის.

— წულაიაზე გასაგებია, მაგრამ სხვა მშენებლებს რატომ მისცემენ უფლებას თუ არც ფულს იხდის და არც ინტერესები აქვს მთავრობას?

— ყველა, ვინც იგებს ტენდერებს და ნებართვებს, მერე მილიონობით ლარით აფინანსებს „ქართული ოცნების“ კამპანიას. არის თუ არა ეს კორუფცია? მე თუ მკითხავთ, კი, მაგრამ საქართველოში რა სამართლებრივი სტანდარტიც არის, ასეთი პრეცედენტი არც ერთხელ არ დამდგარა. ითვლება, რომ ეს ლეგალურია. იმედი მაქვს, რომ ეღირსება ქვეყანას, ჩატარდება გამოძიება და ეს ხალხი ჩაჯდება ციხეში.

— რას ელოდებით ამ არჩევნებზე და კონკრეტულად თბილისის მერობისთვის ბრძოლას. რა შანსები აქვთ მელიას ან გახარიას კანდიდატს?

— სამწუხაროდ, ნიკა მელიას ძალიან დაბალი შანსები აქვს. გახარია თავის კანდიდატურას არ აყენებს და სხვა ვინც არ უნდა დააყენოს, ვერ ექნება მაღალი შანსები.

— გეცოდინებათ, ვისაც აყენებს.

— ლევან დოლიძე ითქვა, აჩი არველაძე ითქვა... არ ვიცი, მაგრამ თუ თვითონ არ დადგება, ვის დააყენებს, დიდი მნიშვნელობა არც აქვს. ჩვენი კანდიდატი ზაზა ხატიაშვილი იქნება. გულწრფელად რომ ვთქვათ, კალაძის შანსები დანარჩენებისას რომ აღემატება, ეს ცხადია. თუმცა, საქართველოში ხდება ხოლმე ფორსმაჟორები, რომელიც ცვლის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას და არ არის გამორიცხული, სექტემბერში კრიზისი შეიქმნას, რომელმაც მხარეთა შანსები შეცვალოს.

— ზოგადად გახარიაზე რას იტყოდით — საით პოზიციონირებს?

— გახარია პოზიციონირებს ასეთნაირად, რომ ბიძინა კარგია და კობახიძე ცუდია. ეს არის 5%-დან 10%-მდე ელექტორატი, რომელიც მან უნდა წაართვას „ქართულ ოცნებას“. ართმევს კიდეც და რამდენს წაართმევს, ვნახავთ. ვფიქრობ, რომ თუ ადგილობრივ არჩევნებზე შედარებით მაღალი შედეგი აჩვენა, მერე შეცვლის სლოგანს და ღიად იტყვის, რომ აუცილებელია რეჟიმის შეცვლა. ამ ეტაპზე მას ეს სტრატეგია აქვს.

— შემდეგ უკვე ბიძინასაც დაუპირისპირდება?

— შესაძლოა ბიძინას ძალიან მკვეთრად მერეც არ დაუპირისპირდეს, მაგრამ დღეს ის ამბობს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა და სწორი გზით მიდის, ბიძინას არ აკრიტიკებს, უბრალოდ ამბობს, რომ პერსონალიები არ ვარგა. ეს მიდგომები შეიცვლება მისი მხრიდან.

— ბიძინასთან კავშირები აღარ აქვს?

— მე ვფიქრობ, რომ არა. შესაძლოა ყველაზე დიდი ზარალი „ოცნებას“ სწორედ გახარიამ მიაყენოს. სხვა პარტიები ერთმანეთს ართმევენ ხმებს და „ოცნებას“ გახარია ართმევს.

— „ოცნებაში“ ვერ ხვდებიან, რომ როცა თავს ესხმიან მას, ამით, პირიქით, აძლიერებენ მას?

— როცა ძლიერია ვიღაცა, ხშირად იქცევა ხოლმე უჭკუოდ.

— ხელოვნურად ხომ არ აძლიერებენ ამითაც?

— ეს მოსაზრებაც არის, რასაც მე კატეგორიულად ვერ უარვყოფ, თუმცა ასეთი კონსპირაციების არ მჯერა. საქართველო არის იმ ეტაპზე, რომ დღეს თუ ხვალ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ასეთია მოლოდინი ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ამ ფონზე რომ ხელისუფლებამ თავად „იჩალიჩოს“ თავისი რეიტინგის დაგდება და გახარიას რეიტინგის ამაღლება, ამაში ეჭვი მეპარება. მით უფრო გახარიას პერსონიდან გამომდინარე. სატელიტი პარტიების ლიდერები ცოტათი კომიკური პერსონაჟები არიან. მაგალითად, როგორიც ირმა ინაშვილია.

— ახლა გახდა ინაშვილი კომიკური პერსონაჟი და მასთან ერთად როცა იყავით ბლოკში, მაშინ არ იყო?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„რუსეთმა ომი 7 აგვისტოს დაიწყო“

გურამ ვახტანგაშვილი: „ჩვენებს არც საარტილერიო სროლები ჰქონდათ დაწყებული და არც სნაიპერული“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

— ბატონო გურამ, აგვისტოს ომის ქრონოლოგიას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დიდ უთავობას ჰქონდა ადგილი. ამას რით ახსნით?

— უთავობას კი არა, საერთოდ, თავი არ ჰქონდათ. ვინ ხელმძღვანელობდა, რას ხელმძღვანელობდა, არავინ იცოდა. შტაბი გორში ჰქონდათ, თავდაცვის მინისტრი ადგილზე არ იყო. სადღაც დასასვენებლად იყო წასული და არასამხედროები ხელმძღვანელობდნენ. ვისაც უნდა ეხელმძღვანელა საბრძოლო მოქმედებებისთვის, ისეთი არავინ იყო. ამის გამო დიდი ზარალიც ვნახეთ და ომიც ორ დღეში წავაგეთ, 8-ში საღამოს ომი უკვე დამთავრებული გახლდათ.

— აგვისტოს ომის წინაპირობებზე მინდა გკითხოთ.

— აგვისტოს ომამდე კვირა და დღე არ გავიდოდა, სოფლის მიმართულებით სროლები და შეტაკებები არ მომხდარიყო. 2004 წლის ამბები გახსოვთ. საომარი მოქმედება მაშინაც აგვისტოში მოხდა. ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოქალაქეები დაგვეღუპა. 2008 წლის 8 აგვისტომდე 4-5 დღით ადრე, ძირითადად ბრძოლები ფრონეს ხეობაში ხორციელდებოდა, რომელიც ცხინვალთან ახლოსაა. სამი ხეობაა ფრონეს, პატარა და დიდი ლიახვის ხეობები, იქ დიდი სოფელია ავნევი.

ძირითადად შეტევა ავნევის მიმართულებით ხორციელდებოდა. ჩვენებმა შემოტევას ვერ გაუძლეს და საპასუხო შეტევა განახორციელეს. 7-ში დაიწყეს ბრძოლა ცხინვალის მიმართულებით. 8 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ჩვენი საჯარისო ნაწილები ცხინვალში შევიდნენ ორი მიმართულებიდან — მეღვრეკისიდან ცხინვალის ტრასიდან. სოფელ მეღვრეკისთან (არ მისული ერგნეთთან) რუსი სამშვიდობოები იდგნენ. სამშვიდობოებმა შლაგბაუმი ახსნეს და შეუშვეს.

მეორე მიმართულება იყო ნიქოზი. ცხინვალში ჩვენს საჯარისო ნაწილებს გარკვეული უპირატესობები ჰქონდათ, რადგან, შეიძლება ითქვას, ნახევარ ცხინვალს ჩვენი მხარე აკონტროლებდა 4 საათამდე. 4 საათის შემდეგ რუსებმა თვითმფრინავები ააფრინეს და ჩვენი საჯარისო ნაწილების დაბომბვა დაიწყეს. ამიტომ წინ ვეღარ აღვუდექით.

1990 წლის შემდეგ ცხინვალის რეგიონში სამი ბატალიონი იდგა — რუსული, ქართული და ოსური სამშვიდობო ნაწილი. ვის რამდენი ჯარისკაცი უნდა ჰყოლოდა კონფლიქტის ზონაში, ესეც წინასწარ იყო განსაზღვრული, მაგრამ დიდი რაოდენობით ტექნიკა შემოიყვანეს ჯავაში 2007 წლამდე და წლების განმავლობაში. სადაც ტყე და ბუჩქი იყო ჯავის რაიონის სოფლებში, იქ ჰყავდათ დამალული. 7 აგვისტოს დამატებით შემოვიდა.

ჩრდილოეთ ოსეთში დიდი სამხედრო წვრთნები ჩაატარეს, როკის გვირაბთან უკვე მობილიზებული იყო და საქართველოს საზღვარი გადმოლახეს. 7-ში უკვე შემოსულები იყვნენ.

ჩვენებს ცრუ ინფორმაცია ჰქონდათ. არ ვიცი, საიდან. შეიძლება კულახმეტოვისაგან. კულახმეტოვს ყურაშვილთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ტყუილს ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩემი აზრით (ჩემი თვალებით ვუცქეროდი ყველას და დასკვნა გამოვიტანე), ჩვენებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსები ამ კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ.

— როგორ არ ჩაერეოდნენ, როცა დიდი ოდენობით რუსული სამხედრო ტექნიკა და ჯარი ჰყავდა შემოყვანილი.

— შეაცდინეს, ჩვენ არ ჩავერევითო. შემდეგ მცდარი ინფორმაცია გაავრცელეს, თითქოს ქართველებმა მძინარე ცხინვალი დაბომბეს. ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში ყველამ ვიცოდით, რომ ცხინვალიდან ავტობუსი ავტობუსზე გადიოდა, ქალი, ბავშვი და მოხუცი ყველა გაიყვანეს.

— რუსეთმა გზა გაუხსნა და მოსახლეობა 20 ავტობუსით ჩრდილო ოსეთში გაიყვანეს.

— ვისაც მანქანები ჰყავდა, ისინი თავისით მიდიოდნენ. ცხინვალში მოხუცი და ბავშვი არ იყო. ამიტომ ცხინვალში არავის ეძინა. თუ ცხინვალში ვინმე იყო, რუსის ე.წ. სამშვიდობოები, ჩრდილოეთ კავკასიელები და ოსი ბოევიკები. ჩვენებს მძინარე ცხინვალი არ დაუბომბავთ. 20 წელი სულ ომსა და უბედურებაში მაქვს გატარებული. ყველა გზა ვიცოდი.

ჩვენებმა ერთი დიდი შეცდომა დაუშვეს, ცხინვალში საჯარისო ნაწილები არ უნდა შეეყვანათ. ჯარი ჯავიდან მოდიოდა. იმ ჯარის გასაჩერებლად ჩვენებს ცხინვალისთვის უნდა შემოევლოთ სამი მიმართულებიდან. ერთი, ნიქოზიდან. ზნაურიდან მათ ტბეთის შემოვლითი გზა გააკეთეს. გზა გუფთაზე გადადის.

მეორე — ონის მიმართულებიდან შეეძლოთ შემოსვლა და ჯავაში შემოვიდოდნენ. მესამე — დიდი ლიახვის ხეობის სოფლებიდან შეეძლოთ შესვლა ჯავაში ისე, რომ ცხინვალი არ გაევლოთ. ასევე პატარა ლიახვის ხეობიდან შეეძლოთ ჯავაში ჩასვლა და, თუ ჩვენებს წინააღმდეგობა უნდოდათ, ცხინვალი იქნებოდა 100%-იან ალყაში. ჯარი შემოდიოდა ერთი მიმართულებით, დიდი ლიახვის ხეობით. თუ საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდებოდა, შეიძლებოდა ცხინვალისთვის გვერდი აევლოთ და ჯავა აეღოთ.

ჯავაში სულ 2000 კაცი იქნებოდა. კოკოითი ჯავაში იყო გაქცეული. ჩვენი ჯარი (ხომ გახსოვთ, კოკოითი ტელეფონით რომ ურეკავდა, ცხინვალი უკვე აიღესო) ცხინვალში რომ არ შესულიყო და ჯავაში წასულიყვნენ, კოკოითი იქიდანაც გაიქცეოდა. შეიძლებოდა შემდგომი დღეების მოვლენები სულ სხვანაირად განვითარებულიყო და ომი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრებულიყო.

— 7 აგვისტოს 19 საათსა და 10 წუთზე სააკაშვილმა განაცხადა, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან ინტენსიური სროლები მიმდინარეობდა. ასეთ ვითარებაში ქართულმა მხარემ დღის ბოლოს ცალმხრივად საპასუხო სროლების შეწყვეტა გამოაცხადა. რატომ? რუსებს დააცადა, რომ კარგად მოახლოებოდნენ?

— ჩვენებს საბრძოლო მოქმედებები კი არ შეუწყვეტიათ, არც ჰქონდათ დაწყებული. 7-ში, ღამის 11-ის ნახევარზე დაიწყეს. ჩვენებს არც საარტილერიო სროლები ჰქონდათ დაწყებული და არც სნაიპერული.

„ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები არ აწყობს“

რამაზ საყვარელიძე: „სრულიად გაუგებარი და აუხსნელია, როდესაც ტრიბუნა გაქვს, საარჩევნო სუბიექტი ხარ და ხმას არ იღებ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, რატომ არის ასეთი პასიური ოპოზიცია, მით უფრო ისეთი მნიშვნელოვანი არჩევნების წინ, როგორიც 2 ოქტომბრის არჩევნებია? მართალია „ქართული ოცნება“ მიშელის შეთანხმებიდან გავიდა, მაგრამ ოპოზიცია მაინც ამბობს, რომ ვადამდელი არჩევნები იქნება.

– ოპოზიციის პასიურობა ბევრი რამით შეიძლება იყოს გამოწვეული. აქვთ კი პოლიტიკური აქტიურობის უნარი? მაინცდამაინც ქუჩას არ ვგულისხმობ. თუმცა, აღმოჩნდა, რომ არც ქუჩაში აქტიურობის უნარი აქვთ. პირველ რიგში კონცეფცია უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არ აქვთ ასეთი კონცეფცია. რეალური ალტერნატივა უნდა დაანახონ ამომრჩეველს. მით უფრო არჩევნების წინ, მაგრამ ვხედავთ, ეს ვერ შეძლეს.

ბოლო სოციოლოგიური კვლევებით ტენდენციები გამოიკვეთა. ამ ტენდენციების მიხედვით, ხვალ რომ არჩევნები იყოს, ისევ „ქართული ოცნება“ გადის პირველ ადგილზე. ამიტომ, გაუგებარია, რატომ თვლიან, რომ ვადამდელი არჩევნებით შეცვლიან პოლიტიკურ რეალობას. საერთოდ აწყობს კი დღეს ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები?!

– შეიძლება ეს მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკის ნაწილია ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლისთვის და მეტი არაფერი? შეიძლება იმ პარტიებმა, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან, პროცესი 2024 წლამდე გადადეს?



– არ გამოვრიცხავ, რომ ეს ვერსია აბსოლუტურად სწორია. მეტიც, კარგად ჯდება იმ სურათში, რაც დღეს გვაქვს. თუმცა, არც ეს ვერსია არ გულისხმობს იმას, რომ საარჩევნო კამპანია არ აწარმოო. ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას აქვს სათქმელი თავისი ამომრჩევლისთვის. თუ ასეთი სათქმელი არ აქვს, ის პარტია და ის პოლიტიკოსი განწირულია. პოლიტიკოსები ხშირად ციხეში მიდიოდნენ და ესეც ერთგვარი პოლიტიკური სვლა იყო, ხშირად ციხიდან ამბობდნენ სათქმელს. ამიტომ, სრულიად გაუგებარი და აუხსნელია, როდესაც ტრიბუნა გაქვს, როდესაც საარჩევნო სუბიექტი ხარ და როდესაც სათქმელიც არსებობს, რატომ ამბობ ამ შანსზე უარს?! რატომ არ იღებ ხმას?! ე.ი. გამოდის, შენ არ გაქვს სათქმელი.

რაც შეეხება იმ ოპოზიციურ პატარა პარტიებს, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან წარმოდგენილები, მართლაც აწყობთ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ასეთი გადავადება. ამაზე თუნდაც ის ბოლო სოციოლოგიური კვლევები ამბობენ, რომელიც გამოქვეყნდა.

„აირაის“ კვლევების მიხედვით, ხვალ რომ არჩევნები იყოს, ამ პარტიებს არავინ არ აირჩევს. ესენი კი დღეს პარლამენტში არიან წარმოდგენილები. ეს გარკვეულწილად „ნაციონალურ მოძრაობასაც“ აწყობს.

– რატომ?

– პარლამენტში დღეს დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ოპოზიცია. „აირაის“ კვლევებით ასეთი შედეგი ვერ დგება ახალი არჩევნების პირობებში. ამდენად, ყველა პოლიტიკური მოთამაშისთვის 2024 წლამდე არჩევნების გადატანა მომგებიანია. თუმცა, „ქართული ოცნებისთვისაც“ და ოპოზიციისთვისაც, „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ ამაში არის ერთი საფრთხე და ეს საფრთხე ასე გამოიყურება: ამ პერიოდში ძალას მოიკრებს გიორგი გახარიას ახალი პარტია. მას მშვენიერი დრო ექნება საიმისოდ, რომ პარტია ორგანიზაციულად გამართოს. მეტი დრო ჰქონდეს ცნობადობის მოსაპოვებლად გუნდს და ა.შ. ამ პერიოდში ნელ-ნელა ამომრჩევლებმა შეიძლება გახარია და მისი პარტია მიიღონ, როგორც ალტერნატივა. ამდენად, სრულიად გასაგებია, რომ ეს სერიოზული რისკის შემცველი იქნება, როგორც მმართველი პარტიისთვის, ისე „ნაციონალური მოძრაობისთვის“.

– გამოდის, „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტად აწყობს ვადამდელი არჩევნები? სხვათა შორის, ამაზე გახარიამ ისაუბრა. თავად „ქართული ოცნება“ დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს, რადგან მას სჭირდება ყველაზე მეტად ლეგიტიმაციაო.

– არ გამოვრიცხავ, ამ ტაქტიკას მიმართოს „ოცნებამ“ და მართლაც დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. თუმცა, მათ ექნებათ მოსაფიქრებელი ფორმა, რატომ ნიშნავენ ვადამდელ არჩევნებს. არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ 2 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებზე მათ 43%-იან ნიშნულს გადააბიჯონ და თქვან, რომ ყოველგვარი დოკუმენტისა და შეთანხმების გარეშე ჩვენივე ნებით ვნიშნავთ რიგგარეშე არჩევნებს და არა ოპოზიციის ზეწოლის შედეგად.

თუ დაინახავს „ოცნება“, რომ პირველ რიგში მას აწყობს ვადამდელი არჩევნები, თვალის დაუხამხამებლად დანიშნავს ამ არჩევნებს. დიახ, დღეს ყველაზე მეტად ვადამდელი არჩევნები ხელისუფლებას, „ქართულ ოცნებას“ აწყობს გახარიას მზარდი რეიტინგის ფონზე.

– თავის დროზე ამ ტაქტიკას „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ მიმართა, როდესაც ხელისუფლებაში იყო და ამით მოიპოვა როგორც ლეგიტიმაცია, ისე ოთხი წლით ხელისუფლებაში დარჩენა.

– დიახ. მაშინ ძალიან ოპერატიულად მისცა სააკაშვილმა რეაქცია შექმნილ სიტუაციას. გადადგა და მეორე დღესვე ჩაება საარჩევნო კამპანიაში. ეს იყო ჭკვიანურად დაგეგმილი პოლიტიკური სვლა. ამდენად, არც ახლა არ გამოვრიცხავ, რომ მსგავს ტაქტიკას „ქართულმა ოცნებამაც“ მიმართოს და არ აცალოს გახარიას პოლიტიკური ფორმირება.

ღარიბაშვილი: „ლაშა ბექაურს რომ თქვენ დაეპატიჟეთ, არ წახვიდოდით?“

პრემიერმა ხალხმრავალ სუფრაზე იქეიფა

– ლაშა ბექაურს რომ თქვენ დაეპატიჟეთ, არ წახვიდოდით?

ასე მიმართა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს კითხვის საპასუხოდ, რატომ დაარღვია პრემიერმა კოვიდრეგულაციები სუფრაზე ქეიფით კახეთში.

ღარიბაშვილი ამბობს, რომ ის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სოფელში გამარჯვების აღსანიშნად დაპატიჟა, რაზეც უარი ვერ უთხრა.

– ჩვენთვის საამაყო კაცთან, ლაშა ბექაურთან მისი მიწვევით ვიმყოფებოდი მშობლიურ მუნიციპალიტეტში, დედოფლისწყაროში. ჩავედით სოფელში, აღვნიშნეთ ხალხთან ერთად მისი ტრიუმფალური გამარჯვება. ამის შემდეგ გაიმართა სუფრა, რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანი ესწრებოდა, არ ვიცი, რა კადრებით ნახეთ. იქ იყო დისტანცია. ჩვენ ვისხედით დისტანციის დაცვით მეტ-ნაკლებად, როგორც შეგვეძლო.

ლაშა ბექაურს რომ თქვენ დაეპატიჟეთ, არ წახვიდოდით? ჩვენს მუნიციპალიტეტში ეპიდვითარება არის ძალიან მსუბუქი, სადაც მე ვიყავი, მანამდე ბევრი ადამიანი იყო გატესტილი და ყველაფერი იყო წესრიგში, – თქვა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა 7 აგვისტოს სოფელ არხილოსკალოში ხალხმრავალ სუფრაზე იქეიფა. ღარიბაშვილთან ერთად სუფრაზე იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ლაშა ბექაური.

სუფრაზე არც სოციალური დისტანცია იყო დაცულია და არც პირბადე ეკეთათ.

გუშინ, 8 აგვისტოს, ირაკლი ღარიბაშვილი ფაიზერით აიცრა. ღარიბაშვილმა ვაქცინაცია ინფექციურ კლინიკაში ჩაიტარა.

– შევიმოწმე ანტისხეული, მქონდა 400 ანტისხეული, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, რომ ჩამეტარებინა აცრა, რომ კიდევ უფრო გავიძლიერო იმუნიტეტი. მინდა მოსახლეობას მივმართო თხოვნით, რომ ყველამ ჩავიტაროთ აცრა, ბევრი შემთხვევაა, როცა ჯანმრთელ ადამიანს მიუტანია ოჯახში კოვიდი. ბევრი ტრაგიკული ისტორია ვიცით, მათ დაუინფიცირებიათ მშობლები, ახლობლები, მეგობრები, რომელთა სიკვდილიანობა დამდგარა. ამის თავიდან ასარიდებლად ერთადერთი გამოსავალი, რაც მთავრობას და მეცნიერებს შეუძლიათ შესთავაზონ პანდემიის დასამარცხებლად, არის აცრა, – თქვა ღარიბაშვილმა.

„წულუკიანი ბოლშევიკი კომისარია, ტყავის ქურთუკი და მაუზერი აკლია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– გავრცელდა ზიზღით გაჟღენთილი წერილი, რომელსაც მწერლები აწერდნენ ხელს. შემდეგ ამაზე ბევრმა მწერალმა უარი თქვა. აღმოჩნდა, რომ ავტორმა მათი გვარები მათთან შეუთანხმებლად მიაწერა. კულტურის მინისტრი წულუკიანი ბოლშევიკი კომისარივით იქცევა. ტყავის ქურთუკი და მაუზერი აკლია, თორემ, დანარჩენში ბოლშევიკებს ბაძავს. ის ბოლშევიკები მე-20 საუკუნის დასაწყისში იყვნენ. ისინი ავტორიტარულ რეჟიმს აშენებდნენ და მათი ქცევა გასაგები იყო. დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ბოლშევიკური მენტალიტეტის აღორძინება კომიკურია.

– საზოგადოების ერთი ნაწილი სინდისის პატიმრებად და პოლიტპატიმრებად წარმოაჩენს პირებს, რომლებიც 5 და 6 ივლისის მოვლენების გამო დააკავეს. ე. წ. რადიკალი კონსერვატორები მომავალ გამარჯვებას აანონსებენ.

– ამ ჯგუფებს, როგორც ჩანს, უნდათ კონსერვატიული ნიშის დაკავება. ეს ფრთა თითქმის ცარიელია, მაგრამ ამათი ადგილი იქ ვერ იქნება. ნიშას აგრესიით და რუსეთის მსახურებით ვერ დაიკავებ. ოცი კაცი რომ ერთ ადამიანს დაეძგერები და სასტიკად გაუსწორდები, ქართველობასა და ადამიანობაზე როგორ უნდა ილაპარაკო! მოძალადეები, რომლებიც კოლექტიურად დაერივნენ უდანაშაულო ოპერატორს (რომელიც მოგვიანებით დაიღუპა), ვერც ადამიანებად ჩაითვლებიან და ვერც კონსერვატიულ ნიშას დაიკავებენ. ისინი სხვა ჟურნალისტებსაც მიადგნენ. ვაჟა–ფშაველას და ხალხურ პოეზიას თუ დავეყრდნობით, მტერსაც სხვანაირად უნდა მოექცე. აქ მტერსა და დამნაშავეებზე კი არა, უდანაშაულო ადამიანებზეა ლაპარაკი, რომლებიც კადრებს იღებდნენ და მოვლენებს აშუქებდნენ. საქმე ისაა, რომ ძალადობა ხდებოდა დაფინანსებით და ორგანიზებით. ამ ჯგუფების ბელადი ვასაძე გაიქცა მშობლიურ რუსეთში. დანარჩენებმა იძალადეს. ალბათ, იმ დღეს მოძალადეების გვერდით გაბრიყვებული ადამიანებიც აღმოჩნდნენ. ახლა ხომ გაიგეს ამ გაბრიყვებულებმა, რაც მოხდა! ყველაფერი იყო ორგანიზებული. ვიღაცა დაფინანსდა და ამ ძალადობიდან სარგებელი ნახა. არ მესმის, როგორ უნდა მიიტანონ ეს ბინძური ფული ოჯახებში. ბოლოს და ბოლოს, ამას ღმერთი არ აპატიებთ. ეს ხალხი ძალიან შორსაა რწმენისაგან, კონსერვატიული იდეოლოგიისა და პატრიოტიზმისაგან. ამათ რომ კუნთები გამყოფ საზღვრებთან ეთამაშებინათ და ოკუპაციაზეც ეყვირათ, იქნებ, რაღაც შეცვლილიყო. ამ დღეებში თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებიც გამოვიდნენ ქუჩაში. შემდეგ მათ გაფიცვა შეწყვიტეს. თბილსერვისის მუშაკები ბევრად უკეთეს სამუშაო პირობებს იმსახურებენ. მათ სოლიდარობას ვუცხადებ.

კუჭავა: „5 ივლისის ორგანიზატორები უნდა დაისაჯონ“

– ეს ნამდვილად იყო ჟურნალისტებზე გარკვეული ჯგუფების მიერ ორგანიზებული თავდასხმა, – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა 5-6 ივლისის ძალადობრივ მოვლენებზე საუბრისას და ორგანიზატორების დასჯის მნიშვნელობას უსვამს ხაზს:

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორგანიზატორები უნდა გამოვლინდნენ და აუცილებლად დაისაჯონ. შესაბამისი ვიდეოკადრებიც არსებობს და, როგორც ვიცი, გამოძიებისთვის ჩვენებების მიცემა ინტენსიურად გრძელდება.

რაც ყველაზე მთავარია, მე პირადად არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი უცებ მომხდარი ამბავი იყო, – ამბობს კახა კუჭავა.

„ისევ ჩავიცვამ თეთრ ხალათს და ჩვენი გმირი ექიმების გვერდით დავდგები“

ეკატერინე ტიკარაძე ექიმობას უბრუნდება

ჯანდაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ, საზოგადოებას ემოციური სიტყვებით მიმართა და რეკომენდაციების დაცვის აუცილებლობისკენ მოუწოდა.

ჯანდაცვის მინისტრის შეფასებით, ახლა ქვეყანაში ეპიდვითარების მხრივ ურთულესი პერიოდია და, შესაბამისად, ის თავად მზად არის, ექიმის პროფესიას დაუბრუნდეს.

– მე ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ მაინც გვიწევს დღეს, დავაკვირდეთ იმ ხალხმრავალ შეკრებებს, რომლებისგანაც ჩვენ თავს ვერ ვიკავებთ. იმ სოციალურ ღონისძიებებს, რომელთაც ჩვენ ვერ ვთმობთ და სწორედ მათ გამო ჯანდაცვის სექტორი დღეს არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში.

ეს რეკომენდაციები არ არის რეკომენდაციები რეკომენდაციებად. ეს არის ძალიან რთული ბრძოლა, რომელიც ჩვენ ძალიან გვიჭირს და მე მზად ვარ, დავიკავო ჩვენი გმირი ექიმების გვერდზე ადგილი, ჩავიცვა ისევ თეთრი ხალათი და დავდგე ამ ურთულეს ბრძოლაში.

ყველას გთხოვთ, იგრძენით ის მაღალი მორალური პასუხისმგებლობა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ კოვიდ პანდემია.

დიდი ბოდიში მინდა მოგიხადოთ, შეიძლება ვიყავი ზედმეტად ემოციური, რაც მე არ მახასიათებს და ალბათ ყველა აკვირდებით, რომ ეს წელიწადნახევარია, ჩვენგან მსგავსი აღელვება საზოგადოებას არ უნახავს, მაგრამ დღეს ჩვენ ნამდვილად ვდგავართ კრიტიკულ ზღვარზე, როდესაც მე შესაძლოა ვერ შევძლო ჩვენ რომელიმე მოქალაქეს გავცე პასუხი, თუ რატომ ვერ გადავარჩინე მისი ოჯახის წევრის სიცოცხლე და ჩემთვის ეს იქნება ძალიან რთული, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

„გახარიას პარტიიდან თბილისის მერად გახდომის შანსი მხოლოდ თავად გახარიას აქვს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ეს იძულებითი ნაბიჯი იყო და მას შემდეგ კიდევ ბევრი რამე მოხდა და მაგიტომაც დავშორდით. ბევრ ადამიანს შეუძლია მოყვეს, ჩვენ რა ტიპის დისკუსიები და დებატები გვქონდა. ჩვენი სურვილი იყო და არის, რომ სხვა პარტიებთან ერთად ოპოზიციური კონსერვატიული ძალა შევქმნათ. მათი სურვილი კი იყო, რომ ეს უნდა ყოფილიყო თავიდან ბოლომდე ხელისუფლების სატელიტი და კონსერვატიზმი აქ იყო შირმა. ბევრი ნიუანსი იყო, რომელიც დღეს აქტუალური აღარ არის – თხოვნები ჩემ მიმართ, რომ ამას არ შეეხო და იმას არ შეეხოო.

გახარიას კონტექსტში საინტერესო იმიტომ არის, რომ მე არ მჯერა, ხელისუფლებამ შექმნას სატელიტი ძალა, რომელიც პოპულარულია. ინაშვილზე „ოცნება“ არ ეჭვიანობს, რომ ერთ დღეს ის მოუგებს არჩევნებს. გახარია დღეს ბევრად პოპულარულია, ვიდრე ივანიშვილი და არ მჯერა, რომ გახარიას ეხმარება ივანიშვილი. წარსულშიც ხომ გვახსოვს, რომ როდესაც ოქრუაშვილის პოპულარობა გაიზარდა, სააკაშვილმა დაიწყო მასზე ეჭვიანობა. დღესაც იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეჭვიანობდა გახარიაზე ივანიშვილი და მაგიტომ მოხდა მისი დისტანცირება.

– ოპოზიციას რეალურად ხედავთ დღეს, ვგულისხმობ მუშაობას, თუ გახარიას არ ჩავთვლით?

– ქართულ მედია სივრცეში ასეა მოწყობილი, რომ ორი ჰოლდინგია – ერთი სახელისუფლებო და მეორე „ნაცური“. აქ ვინც ჩანს, არავინ არ ჩანან და სხვასაც არ აძლევენ გასაქანს. ასეთი ქართული გამოთქმა არსებობს „ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო“.

– ხელოვნურად გჩრდილავენ?

– რა თქმა უნდა. ჩვენი პოზიციის გამო, როდესაც ვთქვით, რომ არ არის მიზანშეწონილი თბილისში ლგბტ პრაიდის ჩატარება, ამის გამო „იმედმა“, „მთავარმა“ და „ტვ პირველმა“ ჩვენ მიმართ ოფიციალური ცენზურა გამოაცხადეს და ყველა გადაცემიდან ამოგვიღეს. ამიტომ ეს არის გარკვეულწილად ხელოვნური. მე მქონდა საუბარი ჩემს ოპონენტებთანაც და რაც თქვენ არგუმენტი თქვით, ეს ბევრისთვის გამიზიარებია და ამ ხელოვნური დისკურსის შექმნა, რომ არის კონსერვატიული ხელისუფლება და ლიბერალური ოპოზიცია, ეს აწყობს ხელისუფლებას.

ხელისუფლებამ ვერაფერი გააკეთა და ყველაფერში გაკოტრდა, მისთვის ბოლო თავშესაფარია, რომ იცავს კონსერვატიულ ღირებულებებს, რაშიც ხელს უწყობს ოპოზიცია. იმ ერთადერთ რაღაცაში აკრიტიკებს, რაშიც „ოცნებას“ აქვს ხალხის მხარდაჭერა თუ არა, გარკვეული დადებითი განწყობა მაინც.

ბორჯომის ცენტრში კრიმინალური ავტორიტეტი ლევან ნამგალაძე მოკლეს

დააკავეს ბერი ანტონ მაისურაძე

6 აგვისტოს ბორჯომის ცენტრში, კრიმინალური ავტორიტეტი ლევან ნამგალაძე, მეტსახელად ჭინგო, მოკლეს.

შემთხვევა ინგოროყვას და გურამიშვილის ქუჩების კვეთაზე დილის 6-ის ნახევარზე მოხდა.

– ავტომატის ხმა ისმოდა და რაღაც გასკდა, ეტყობა ყუმბარა იყო, მეტი არაფერი, გამოვიხედე გარეთ და არავინ აღარ იყო. ამბობენ, ვიღაც ჭინტორა გარდაიცვალაო. თავის ფეხით წასულა საავადმყოფოში და იქ გარდაიცვალაო, – თქვა ადგილობრივმა.

ეს ნამგალაძეების ოჯახის წევრებზე თავდასხმის პირველი შემთხვევა არ არის. 2 წლის წინ ასევე მოკლეს ლევან ნამგალაძის ძმა, ნიკა ნამგალაძე, რომელიც, ასევე, კრიმინალური ავტორიტეტი იყო.

ლევან ნამგალაძეს მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

პოლიციამ ბორჯომში განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 6 აგვისტოს, ბორჯომში, ინგოროყვას ქუჩაზე, ბრალდებულსა და 1984 წელს დაბადებულ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ ლევან ნამგალაძეს შორის მოხდა კონფლიქტი, რომლის დროსაც ლ.ნ.-მ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა, ხოლო ბრალდებულმა მას ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მისვლის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.მ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია „აკ 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ლევან ნამგალაძის მკვლელობის საქმეზე სასულიერო პირი, შავი ბერი მამა ანტონია დაკავებული. ის პოლიციას თავად ჩაბარდა. კრიმინალური ავტორიტეტი და მამა ანტონი ბავშვობის მეგობრები იყვნენ და მათ წარსულში კონფლიქტი არ ჰქონიათ.

თავდაპირველად იარაღიდან გასროლა ლევან ნამგალაძემ განახორციელა, ხოლო შემდეგ ის სასულიერო პირმა დაჭრა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც სასულიერო პირმა კრიმინალური ავტორიტეტი დაჭრა, საავადმყოფომდე თავად მიიყვანა.

ლევან ნამგალაძის მკვლელობაში ბრალდებული პირი სქიმაში აღკვეცილი ბერი, 1986 წელს დაბადებული ანტონ მაისურაძეა.

ლევან ნამგალაძის ახლობლების ინფორმაციით, მაისურაძესა და ნამგალაძეს შორის უთანხმოება მოხდა, რაც მკვლელობის მიზეზი გახდა.

– ლევან ნამგალაძეს და ბრალდებულ სასულიერო პირს ერთმანეთთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახლობლობდნენ და ხშირად სხვადასხვა ადგილზე ერთადაც ჩნდებოდნენ.

მკვლელობის ღამეს არანაირ გარჩევებს და კრიმინალურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. გვიან ღამემდე ახლობლები ლიკანში იმყოფებოდნენ ლევან ნამგალაძესთან სახლში, საკმაოდ გვიან დაიშალნენ. ამბობენ, რომ იმ ღამით ნამგალაძეს და მამაოს რამდენჯერმე ჰქონდათ სატელეფონო საუბარი და კამათი მოუვიდათ, ამის შემდეგ ბორჯომში, ინგოროყვას ქუჩაზე შეხვდნენ ერთმანეთს.

მათ მოუვიდათ კონფლიქტი, როგორც ვიცით, ლევანმაც ისროლა, თუმცა სროლის შედეგად არავინ დაშავებულა და ამის შემდეგ მას მიაყენა ბრალდებულმა სხეულის დაზიანებები, რაც გარდაცვალების მიზეზი გახდა. როგორც ვიცით, არტერია ჰქონდა დაზიანებული და საავადმყოფოში მიყვანამდე დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა“ – განაცხადა „ამბებთან“ მოკლულისა და ბრალდებულის ახლობელმა.

– სასულიერო პირი წარმოშობით ბორჯომელია, ჯერ წალკაში იყო, სადაც, მისი მოძღვარი მსახურობდა, ახლა რომელ ეპარქიაში ირიცხება ოფიციალურად, არ ვიცით, მაგრამ ბორჯომში ხშირად იყო, მამა აქაური ჰყავს. ლევანთან და მის მეგობრებთანაც ახლობლობდა და მათთან ხშირად ვხედავდით. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამგვარი კონფლიქტი მოხდებოდა და ასეთი შედეგით დასრულდებოდა, – უთხრა „ამბებს“ რესპონდენტმა.

ბერი ანტონის შესახებ საპატრიარქომ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბორჯომში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ბრალდებულია ერთ დროს წალკის მამათა მონასტრის ბერი ანტონი (მაისურაძე). იგი წალკის სოფელ ბერთას მამათა მონასტერში 2008 წლიდან მსახურობდა, თუმცა რამდენიმე წელია თვითნებურად დატოვა მონასტერი და ცხოვრობდა შინ.

ვადასტურებთ, რომ ბერი ანტონი ნამდვილად იყო დაბარებული გამოკითხვაზე.

მიმდინარეობს გამოძიება. სავარაუდოდ, დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი“.

გუშინ, 8 აგვისტოს, საქართველოს პროკურატურამ ლევან ნამგალაძის მკვლელობის ფაქტზე მამა ანტონ მაისურაძეს ბრალდება განზრახ მკვლელობის მუხლით წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 6 აგვისტოს, ბორჯომში პირადი უთანხმოების საფუძველზე წარმოშობილი შელაპარაკებისა და ფიზიკური დაპირისპირების დროს, ა.მ.-მ, დანის გამოყენებით, მოკვლის განზრახვით, ლ.ნ.-ს სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები, რომელიც მიყენებული დაზიანებებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ა.მ.-ს 2021 წლის 7 აგვისტოს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ა.მ.-ს 2021 წლის 8 აგვისტოს აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

„ჩემი ლიკვიდაცია უნდათ“

ნიკა გვარამია სუსში გამოიკითხა

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოიკითხა.

გვარამიას განცხადებით, მან სუსის ანტიტერორისტულ დეპარტამენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც მისი შესაძლო ლიკვიდაციის გეგმას ეხება.

– ათ დღეზე მეტია, ეს ინფორმაცია არსებობს. მივაწოდე ინფორმაცია ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, სახალხო დამცველსაც და მათი რჩევითაც და ჩემი გადაწყვეტილებითაც მოვედი ანტიტერორისტულ დეპარტამენტში. ინფორმაცია ეხება ჩემი ფიზიკური ლიკვიდაციის დაგეგმვას, ზედმეტად დეტალური იყო იმისთვის, რომ ყურადღება არ მიმექცია. გულწრფელად გითხრათ, ახლაც დარწმუნებული ვარ, უფრო დაშინების მცდელობაა, რაც ფუჭია ან რაღაც პროვოკაცია, თუმცა იმდენად დეტალურია ეს ინფორმაცია, რომ დაშვება შესაძლებელია.

ორი რამის გამო მოვედი; პირველი – სული ტკბილია და ბოდიში, მაგრამ მნიშვნელოვანია, ცოცხალი ვიქნები თუ არა, მაგრამ ასევე დიდი მნიშვნელობის საკითხია ის, რომ თუ ჩემ წინააღმდეგ რამე მოხდა, ეს მნიშვნელოვან პრობლემებს გამოიწვევს ამ ქვეყანაში, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. ეს პრობლემები ხელსაყრელი იქნება მხოლოდ ერთი სახელმწიფოსთვის, ამ სახელმწიფოს ჰქვია რუსეთი და იმ ადამიანებისთვის, ვინც აქ რუსულ პოლიტიკას აკეთებს.

ჩემთვის ეს პირადი საკითხია, ასევე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა. ვენდობი თუ არა ამ დაწესებულებას, ეს მეორეხარისხოვანია ჩემთვის. დაცვის ღონისძიებები შემოთავაზებული არ არის, ეს ჩემთვის მარტივად გადასაწყვეტია ჯერჯერობით. ვფიქრობ ამასთან დაკავშირებით. მინდა, მივმართო ინფორმატორს, რომელიც მე არ დავასახელე, რადგან ჟურნალისტური პრივილეგია მაქვს. მინდა, მივმართო მას, რომ გააკეთოს ოფიციალური განაცხადი – ამ შენობაში მოვიდეს, ან სხვაგან და მიაწოდოს ინფორმაცია ოფიციალურად, რადგან მგონი მალვის და ასეთ სიტუაციებში რაღაც გვერდით გაწვევის დრო არ არის. სიტუაცია სერიოზულია, რაც არ უნდა იყოს, გინდა მართალი იყოს, გინდა ტყუილი, – განაცხადა გვარამიამ.

ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა წესში ცვლილებები დაამტკიცა.

სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა სანადირო იარაღის ტარების ახალი წესი. კერძოდ, დასახლებულ პუნქტში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 500 მეტრის რადიუსში სანადირო იარაღის ტარება დასაშვები გახდა მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ვაზნებისგან განცალკევებულ მდგომარეობაში, რა დროსაც სანადირო იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს მისი მოხსნის გარეშე იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა ან სანადირო იარაღი უნდა იყოს არასრულად დაშლილ მდგომარეობაში.

ბრძანებით დეტალურად განისაზღვრა იარაღის არასრული დაშლის განმარტება. კერძოდ, იარაღი არასრულად დაშლილად ჩაითვლება, თუ მასში არსებული ყველა შესაძლო ნაწილის (ძირითადი ელემენტები) განცალკევება მოხდება სპეციალური

ხელსაწყოების გამოყენების გარეშე. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ იარაღებზე, რომელთა კონსტრუქციაც არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განისაზღვრა დამატებითი რეგულაციები იარაღის შენახვასთან დაკავშირებით. კერძოდ, იარაღი და საბრძოლო მასალა უნდა ინახებოდეს ისეთ მდგომარეობასა და პირობებში, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამოირიცხება გაუთვალისწინებელი (უნებლიე) გასროლა და იარაღთან გარეშე პირთა დაშვების შესაძლებლობა. ამასთან, იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვა უნდა მოხდეს დაკეტილ სათავსოში ან/და იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს მისი მოხსნის გარეშე საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა.

გარდა ამისა, ბრძანებაში შესული ცვლილებით, განისაზღვრა აკუსტიკური (ხმოვანი) იარაღის გადატანა-გადაზიდვის წესები.

ახალი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, აიკრძალა ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის ტარება და დასაშვები გახდა მხოლოდ მისი გადატანა თეატრალურ წარმოდგენებში, კინო და სატელევიზიო ჩვენებებში, ისტორიულ რეკონსტრუქციებში, აღლუმებსა და სპორტულ ღონისძიებებში გამოყენების მიზნით. შესაბამისად, ამ მიზნით ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის გადატანისას მფლობელს თან უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიზნის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, რომლის გამოყენებაც დასაშვები იქნება ერთჯერადად.

აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“ – აცხადებენ სამინისტროში.

კასპში 50 წლის მამაკაცის მკვლელობისთვის 26 წლის ლ.ხ. დააკავეს

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა და დაკავებულია ერთი პირი – შსს კასპში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს.

დაკავებულია 1995 წელს დაბადებული ლ.ხ., რომელსაც ბრალად განზრახ მკვლელობა ედება.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა ლ.ხ.-მ, მიმდინარე წლის 6 აგვისტოს, კასპის მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სამი ადამიანი დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა სამივე დაჭრილი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა, რომელთაგანაც ერთ-ერთი – 1971 წელს დაბადებული გ.გ., სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანების გამო, კლინიკაში მიყვანიდან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნინი ცეცხლაძის საქმეზე მის ბაბუას 1 წელი მიესაჯა

14 წლის ნინი ცეცხლაძის საქმეზე სოლომონ ცეცხლაძეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. ის ნინის ბაბუაა და თითქმის ნახევარი წელი საპატიმრო დაწესებულებაშია.

საუბარია 2021 წლის 10 თებერვალს ქობულეთში, სოფელ ქაქუთში მომხდარ შემთხვევაზე – 14 წლის ნინი სახლის ეზოში გარდაცვლილი იპოვეს. მანამდე, ორი თვით ადრე, არასრულწლოვანმა პოლიციელებს უთხრა, რომ ის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო. სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული 23 წლის კაცი პოლიციელებმა ნინის გარდაცვალების შემდეგ დააკავეს. 15 თებერვალს დააკავეს ნინის ბაბუაც მუქარის და ოჯახში ძალადობის ბრალდებით.

მოსამართლე თამარ ბეჟანიშვილმა 14 წლის ნინის ბაბუა მუქარის ნაწილში უდანაშაულოდ მიიჩნია, თუმცა სოლომონ ცეცხლაძეს ოჯახში ძალადობა დაუდასტურდა.

ამ დრომდე არ დასრულებულა სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული კაცის სასამართლო პროცესი.

ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲗ ᲨᲔᲐᲛᲙᲝ

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის 13 წლისთავთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი ყვავილებით შეამკეს და 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებმაც.

13 წლის წინ, რუსეთ-საქართველოს ომის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 და სანაპირო დაცვის 5 თანამშრომელი დაიღუპა. ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, დაღუპული თანამშრომლების შვილებსა და ოჯახებს მატერიალური დახმარებები გაეწიათ.

„გუშინ დაბრუნდა უცხოეთიდან, მამამ ცხვრის მოსაყვანად გაგზავნა“

კახეთში 21 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში 21 წლის ახალგაზრდამ სიცოცხლე, სავარაუდოდ, თვითმკვლელობით დაასრულა. მამაკაცი, რომელიც 6 აგვისტოს ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან დაბრუნდა, ნათესავებმა, სოფელთან ახლოს მდებარე ფერმაში, ჩამომხრჩვალი ნახეს. ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის თვითმკვლელობის მიზეზი უცნობია.

– გუშინ დაბრუნდა უცხოეთიდან. მამამ ცხვრისთვის გაგზავნა, დაბრუნება აღვნიშნოთო. ფერმაში ნახეს ჩამომხრჩვალი. უწესიერესი, საუკეთესოდ აღზრდილი ბიჭი იყო. რა მოხდა, არავინ იცის, – ამბობენ ადგილობრივები.

გამოძიება ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

საერთაშორისო

ავღანეთში თალიბანმა კიდევ ერთი ქალაქი დაიკავა

ავღანეთში მოძრაობა თალიბანმა პროვინციის დედაქალაქის ზარანჯის დაკავება შეძლო. ზარანჯში 160.000 მცხოვრებია. ქალაქს სამთავრობო ჯარები იცავდნენ, მაგრამ მათ თალიბებს წინააღმდეგობა არ გაუწიეს. ყველაფერი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა. თალიბანის მებრძოლებმა დერეფანი გააკეთეს და საშუალება მისცეს ჯარისკაცებს, ქალაქი დაეტოვებინათ. ისინი მთელი აღჭურვილობით ირანში გადავიდნენ. პარალელურად ზარანჯი იმ ჩინოვნიკებმაც დატოვეს, რომლებიც ამერიკელებზე მუშაობდნენ. ისინიც ოჯახებთან ერთად ირანში გადავიდნენ.

ავღანეთში ბრძოლები გრძელდება. აღყაშია მოქცეული ჰერათი, რომელიც სიდიდით ავღანეთის მესამე ქალაქია. ცალკეული ცნობით, ქალაქის აღების შემდეგ თალიბები აპირებენ თავიანთი დედაქალაქი აქ გადაიტანონ. გაფფრებული ბრძოლები მიმდინარეობს ლაშკარ-ტახთანაც, რომელიც პროვინცია ჰილმენდის დედაქალაქია.

ამერიკელი მზვერავები ფიქრობენ, რომ როგორც კი უკანასკნელი ამერიკელი ჯარისკაცი ავღანეთს დატოვებს, ქვეყანაში უმართავი მდგომარეობა შეიქმნება. ხელისუფლება ჩამოიშლება. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიტიკოსების აზრით, ხელისუფლებამ შესაძლოა მაქსიმუმ 3-6 თვემდე გაძლოს.

ბაიდენმა ჰონკონგელ ლტოლვილებს აშშ-ში დარჩენის ნება მისცა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც ჰონკონგელ ლტოლვილებს, რომლებსაც ვიზის ვადა ამოწურათ, უფლება მიეცათ აშშ-ში კიდევ წელიწადნახევარი დარჩნენ.

ჰონკონგი ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციაა. ის კარგა ხანს ბრიტანეთის კოლონია იყო და ჩინეთს მხოლოდ 1997 წელს გადაეცა. შარშან ჰონკონგს მოედო საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც ოფიციალურმა პეკინმა რეპრესიების წყალობით ჩაახშო. შედეგად ათასობით ჰონკონგელი იძულებული გახდა, ემიგრაციაში გადახვეწილიყო.

მოლდოვას ახალი პრემიერი ჰყავს

მოლდოვის პრემიერად პრეზიდენტ სანდუს დიდი ხნის მეგობარი და თანამებრძოლი ნატალია გავრილიცა დაინიშნა.

ის მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერია.

ნატალია გავრილიცა 1977 წელს დაიბადა. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. მუშაობდა მსოფლიო ბანკში. იყო მოლდოვას ფინანსთა მინისტრი.

თურქეთში ავტობუსი ამობრუნდა 14 ადამიანი დაიღუპა

თურქეთის დასავლეთით, ქალაქ ბალიქესირის რაიონში სამგზავრო ავტობუსი ამობრუნდა. ავარიის შედეგად, 14 ადამიანი დაიღუპა და 18 დაშავდა.

11 მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა, 3 კი – საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ.

ბოლო 2 დღის განმავლობაში თურქეთში სამგზავრო ავტობუსის ეს უკვე მეორე მასშტაბური ავარიაა.

შაბათს თურქეთის პროვინცია მანისაში მომხარ ავარიას 9 ადამიანი ემსხვერპლა და 30 დაშავდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ტოკიოს ოლიმპიური თამაშები სარეკორდო მედლებითა და 33-ე ადგილით დავასრულეთ

ქართველმა ოლიმპიელებმა ტოკიოს 32-ე ოლიმპიური თამაშები დაასრულეს. ჩვენი ნაკრების მონაგარი რიოს ოლიმპიური თამაშებისას მედლების რაოდენობით ჯობნის. სულ 8 მედალი, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში აბსოლუტური რეკორდია. ჯამში კი, ჩვენმა დელეგაციამ ოლიმპიადაზე 33-ე ადგილი დაიკავა.

5 ვერცხლის მედალი, 5 წაგებულ ფინალს ნიშნავს. მათ შორის, ყველაზე დასანანი და მტკივნეული, ალბათ, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, მძიმე წონაში წაგებული ფინალია.

პეტრიაშვილის მიერ წამის მეასედებში ჩემპიონობის დაკარგვა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში თავის ადგილს დაიკავებს. სამწუხაროა, რომ ამ ისტორიის ნაწილი რიოს თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი და 2 ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ევროპის ჩემპიონატების 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლის მფლობელი ქართველი მოჭიდავეა.

ფინალში ჩვენებური ამერიკელ გეიბლ სტივესონთან პირველ პერიოდში 0:4 დამარცხდა, მეორეში კი, აშკარა უპირატესობა მოიპოვა, მეტოქეს ოთხჯერ 2-2 ქულა წაართვა და 8:5 დაწინაურდა. შეხვედრის დასრულებამდე 13 წამი იყო დარჩენილი. 6 წამით ადრე ამერიკელმა 2 ქულა ჩაიწერა, მაგრამ ქართველი ისევ წინ იყო. თუმცა, მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. ბოლო წამის მეასედში მეტოქემ 2 ქულა აიღო. ნაკრების მწვრთნელმა „ჩელენჯი“ მოითხოვა, მაგრამ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონად 20 წლის ამერიკელი, გეიბლ სტივესონი გამოცხადდა. პეტრიაშვილმა ფინალი 8:9 წააგო და რიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს ტოკიოს ვერცხლი შემატა.

3 წელიწადში პარიზის თამაშებია და იმედი ვიქონიოთ, რომ გენოს ოლიმპიური კოლექცია 3-ვე ხარისხის მედლით შეივსება.

საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია მხატვრულმა ტანმოვარჯიშემ სალომე ფაჟავამ და ტოკიოს თამაშებზე გამოსვლა ფინალის გარეშე დაასრულა. ქართველი ტანმოვარჯიშე 26 მონაწილეს შორის მე-17 ადგილზე გავიდა.

საქართველო 2 ოლიმპიელით იყო წარმოდგენილი ბოლო საშეჯიბრო დღეს. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსა და ევროპის ჩემპიონატების 5 ბრინჯაოს მედლის მფლობელს, ასევე ევროპული თამაშების მე-3 ადგილოსან ელიზბარ ოდიკაძეს (97 კგ), კვლავ ბრინჯაოს მედლისთვის შანსი ჰქონდა. ჩვენებური მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელთან, აბდულრაშიდ სადულაევთან წააგო, მაგრამ რუსი ფინალში გავიდა და ჩვენებური ბრინჯაოსთვის გაიყოლა. ოდიკაძემ შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. ქართველი ფალავანი ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ შარიფ შარიფოვთან 5:7 დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

უმედლოდ დარჩა კარატეში პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი, ასევე ევროპის ჩემპიონატის და ევროპული თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი გოგიტა არქანიაც (+75 კგ). ტოკიოში ოლიმპიური მედლებისთვის მსოფლიოს 10 უძლიერესი კარატისტი იბრძოდა. ქართველმა მებრძოლმა ჯგუფში იაპონელ, თურქ, გერმანელ და ყაზახ მეტოქეებთან 4 საკვალიფიკაციო შეხვედრა ჩაატარა. არქანიამ გერმანიის და ყაზახეთის წარმომადგენლებს მოუგო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ნახევარფინალში გასასვლელად და ასპარეზობის გასაგრძელებლად.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს წარმომადგენელთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ძიუდოისტი ლაშა ბექაური და ძალოსანი ლაშა ტალახაძე. ჩემპიონობამდე ნაბიჯი დააკლდათ ძიუდოისტებს ვაჟა მარგველაშვილს, ლაშა შავდათუაშვილს და გურამ თუშიშვილს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე იაკობ ქაჯაიას და თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილს. ბრინჯაოს მედალი ძალოსანმა ანტონ პლესნოიმ მოიპოვა.

თავისი წილი ისტორია დაწერა ჩვენმა ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემაც. ტიტულიანი ქართველი ოლიმპიელი გახდა პირველი ქალი სპორტსმენი, რომელიც მე-9 ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდა.

33-ე ოლიმპიურ თამაშებს პარიზი 2024 წელს მიიღებს. ცვლილებაა ქართველ ოლიმპიელთა დევიზში და დღეიდან ის ასე ჟღერს: „უკეთ, ვიდრე ტოკიოში!“

21-წლიანი ეპოქა დასრულდა – მესი ბარსელონადან წავიდა

21 წელი გაატარა მესიმ ბარსელონაში და წავიდა. თუმცა, წასვლა არც თავად სურდა და არც კლუბს, მაგრამ კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობამ იმდენი მოახერხა, რომ სხვა გზა არ დაიტოვა.

ლა ლიგის სახელფასო ლიმიტის გამო ბარსელონამ მესის დარეგისტრირება ვერ შეძლო და არგენტინელ ლეგენდას წასვლა მოუწია. თუმცა, კლუბის პრობლემები ამით არ შემოიფარგლება.

ესპანური მედიის ინფორმაციით, თუ ბარსა ხელფასებს 13 აგვისტომდე არ შეამცირებს, ლა ლიგაში ვერც 4 ახალწვეულის (სერხიო აგუერო, მემფის დეპაი, ემერსონ როიალი, ერიკ გარსია) დარეგისტრირებას მოახერხებს, შესაბამისად, ისინი პრიმერა დივიზიონის პირველ ტურში, სოსიედადთან შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ბარსელონამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, თუ რატომ ვერ მოხერხდა მესისთან კონტრაქტის გაგრძელება. პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ დეტალურად ისაუბრა, რომ საქმე ლა ლიგის ფეარ ფლეის წესებს ეხება.

ჟოამ ლაპორტა:

– კლუბის ეკონომიკური სიტუაციიდან და ხელფასებიდან გამომდინარე, ლეო მესის კონტრაქტი ვერ გავუხანგრძლივეთ. მესის ვერ დავარეგისტრირეთ, რადგან ფინანსური ფეარ ფლეის წესებში ვერ ვჯდებით. ძალიან რთულ და კომპლექსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი კლუბი ჩავიბარეთ და ვერ მოვძებნეთ საშუალება, რითაც სახელფასო ლიმიტებს დავარეგულირებდით.

ლეოსთან 5-წლიან შეთანხმებას მივაღწიეთ, ყველაფერი შეთანხმებული იყო. ვეცადეთ, რომ შესაბამისი გზები გვეპოვა. ახლა კი გვინდა, რომ პოსტმესური ეპოქა დავიწყოთ. გვინდოდა, რომ ეს პერიოდი 2 წლის შემდეგ დამდგარიყო, თუმცა რეალობა სხვაა.

არ მინდა, რომ ხალხში ცრუ იმედები გავაჩინო. ახლა გამოცხადების დრო იყო, რადგან ლა ლიგა სადაცაა დაიწყება და ლეოსაც სჭირდებოდა დრო, რომ სხვა კლუბი მოეძებნა.

ლეო მესისთან მოლაპარაკებები სრულებით დასრულებულია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – არ მინდა, ვინმეს ცრუ იმედი მივცე.

მესის ბარსელონადან წასვლა მხოლოდ კატალონიური გუნდის გულშემატკივრებს არ ადარდებთ. დიდი კომპანიები, რომლებსაც კლუბთან დიდ ფინანსებთან დაკავშირებული კონტრაქტები აკავშირებთ, მოულოდნელი სიახლით შეშფოთებულები არიან.

გავრცელებული ინფორმაციით, კლუბის სპონსორებმა, „ნაიკმა“ და „რაკუტენმა“, ბარსელონასთან სასწრაფო მოლაპარაკებები წამოიწყეს. მათ კლუბთან და მესისთან ერთად არაერთი კამპანია ჰქონდათ დაგეგმილი, ამ ყველაფრის ჩაშლის შემდეგ კი, მხარეები დიდი ფინანსური ზარალის მიღებას ელიან.

ახლა კამპანიები განსხვავებული პირობებით ხელახლა უნდა დაიგეგმოს. კლუბი და სპონსორები ნებისმიერ შემთხვევაში საკმაოდ დიდ თანხას დაკარგავენ.

დავუბრუნდეთ მესის: დიდი ალბათობით, კარიერას პარი სენ-ჟერმენში გააგრძელებს. არგენტინელი ფეხბურთელისათვის შესაბამისი ხელფასის გადახდა ამ ეტაპზე მხოლოდ პარიზელებს შეუძლიათ. მეორე ვარიანტი მანჩესტერ სიტი იყო, მაგრამ პეპ გვარდიოლას თქმით, ჯეკ გრილიშის ტრანსფერმა მესის დამატების შანსები გააქრო.

ფრანგულ მედიაში გავრცელებული ცნობებით, მესი პსჟ-სთან 2+1 წლიან კონტრაქტს გააფორმებს. მისი ხელფასი კი 40 მილიონი ევრო იქნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

ქალმა ინტერნეტის წყალობით გაიგო მეუღლის ორცოლიანობის შესახებ

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი მარია გილენ გარსია ინტერნეტში შევიდა და შეიტყო, რომ მისი 51 წლის მეუღლე ტომ მაკეიბი 15 წელია, რაც სხვა ქალთანაც იმყოფება ქორწინებაში.

გოგონა მამაკაცს 2009 წლის ნოემბერში შეხვდა და ერთი წლის შემდეგ შეყვარებულთან ჩრდილოეთ ლონდონში იქორწინა. დაახლოებით შვიდი წელი წყვილი ყოველგვარი კონფლიქტების გარეშე ცხოვრობდა. 2016 წელს გოგონას ხელში ჩაუვარდა უცნაური ფოტოსურათები. მათზე მისი ქმარი სხვა ქალთან ერთად იყო აღბეჭდილი. ქალმა ინფორმაციის მოძიება დაიწყო ინტერნეტში და მეუღლის საქორწინო ფოტოსურათებს გადააწყდა. გაირკვა, რომ გილენ გარსიაზე დაქორწინების მომენტისთვის, მამაკაცი უკვე 15 წელი ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა. ბრიჯიტ ო,კონელი მაკეიბმა 1995 წელს გაიცნო. მათ ჰყავდათ ორი შვილი. შემდეგ ქალი ირლანდიაში წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მაკეიბი თავის პირველ ცოლთან არ ცხოვრობდა, ის ამტკიცებდა, რომ თავისუფალი იყო.

საკითხში გასარკვევად მარია გილენ გარსიამ შვებულება აიღო.

– არდადეგებზე გავედი, დავტოვე გადახაზული ქორწინების მოწმობა, ბეჭდები და წერილი იმის თაობაზე, რომ ჩემთვის ყველაფერი ცნობილი იყო, – განაცხადა ქალმა, რომელმაც განქორწინებასთან ერთად მეუღლის ვალებიც მიიღო, – ის ნამდვილი მატყუარაა და 20 ათასი ფუნტი სტერლინგის ვალიც დამიტოვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ეროვნული კინოცენტრი 20 წლისაა

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი 20 წლისაა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ინფორმაციას კინოცენტრის ხელმძღვანელი გაგა ჩხეიძე ავრცელებს:

– ეროვნულ კინოცენტრს წელს დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. 2000 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „ეროვნული კინემატოგრაფის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, რომელმაც ფუნქციონირება 2001 წლის აპრილში დაიწყო.

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს აქტი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული კინოს უახლეს ისტორიაში, არა მარტო იმიტომ, რომ საქართველოში გაჩნდა კინოს მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუცია, არამედ იმიტომაც, რომ ამ აქტით სახელმწიფო დაემშვიდობა კინოს დაფინანსების საბჭოთა სისტემას და ევროპული ანალოგის მიხედვით დააარსა ორგანიზაცია, რომელიც შერჩევითობის პრინციპით მოქმედებს და სახელმწიფო სუბსიდიებს გასცემს როგორც ფილმების წარმოებისთვის, ისე საგანმანათლებლო, სადისტრიბუციო, საგამომცემლო პროექტებისთვის. ასევე, მხარს უჭერს ქართული კინოს ექსპორტს საზღვარგარეთ და ზრუნავს ქართული კინომემკვიდრეობის შენარჩუნებასა და აღდგენაზე. ეროვნული კინოცენტრი არის საქართველოს მთელი კინოსაზოგადოების მონაპოვარი.

ეროვნული კინოცენტრი განსაზღვრავს კინოს პოლიტიკას და მოქმედებს „ეროვნული კინემატოგრაფის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონისა და სამი ძირითადი დებულების საფუძველზე. ამ დებულებებში ზუსტად არის გაწერილი კინოცენტრის საქმიანობის ძირითადი ასპექტები, კონკურსების ჩატარების და კომისიების შექმნის წესები. ამავე დროს ეროვნული კინოცენტრი აცნობიერებს, რომ კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი და მისი დახვეწა მუდმივად უნდა ხდებოდეს. ამიტომ ის ღიაა კინოსექტორთან თანამშრომლობისთვის.

ეროვნული კინოცენტრი, როგორც სახელმწიფოში არსებული მთავარი კინოინსტიტუცია, არსებობს მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კინო სახელმწიფო ზრუნვის საგანია. ეს არის სახელმწიფო დახმარების აპრობირებული სისტემა, რომლის დადებითი ეფექტი კინოს განვითარებისთვის ეჭვგარეშეა. თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე საქართველოს კინოცენტრმაც უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული კინემატოგრაფის აღორძინების საქმეში. 90-იანი წლების კრიზისი წარსულს ჩაბარდა, ქართული კინო გამოვიდა იზოლაციიდან, ჩაერთო მსოფლიო კინოპროცესებში და მიაღწია როგორც საფესტივალო, ისე კომერციულ წარმატებებს.

ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული კინოცენტრის, როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური სააგენტოს არსებობა. ის თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური წნეხისა და მის საქმიანობაში უხეში ჩარევისგან. ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი პირი უნდა იყოს სრულიად მიუკერძოებელი. ის უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის და კინოცენტრის რესურსების მიზნობრივად და ოპტიმალურად განაწილების გარანტი.

ამ ბოლო დროს მასმედიის საშუალებებში აქა-იქ გაისმა კრიტიკა, თითქოს კინოცენტრმა თავისი თავი ამოწურა. კრიტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ მის დადებით როლს კინოინდუსტრიაში და საუბრობენ მის გაუქმებაზე ან რეორგანიზაციაზე. ყველა ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლო და არაარგუმენტირებულია, აშკარად ჩანს, რომ კინოცენტრის კრიტიკოსებს არ აქვთ არც ალტერნატიული კონცეფცია, არც რეორგანიზაციის კონკრეტული გეგმა, არც რამე სხვა იდეა.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ დაფინანსების არსებულ სისტემასა და ეროვნულ კინოცენტრზე უარის თქმა გამოიწვევს ქართული კინოინდუსტრიის კოლაფსს.

მოვუწოდებ ქართველ კინემატოგრაფისტებს, მხარში ამოუდგნენ ეროვნულ კინოცენტრს, გაერთიანებული ძალებით იზრუნონ მის როგორც ინსტიტუციონალურ, ისე ფინანსურ გაძლიერებაზე. ეროვნულ კინოცენტრს დღეს რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა აქვს. მათგან უმთავრესია ბიუჯეტის რადიკალური გაზრდა, რადგან ქართული კინოწარმოებისთვის დღეს გამოყოფილი სრულიად არაადეკვატური დაფინანსება ვერ აკმაყოფილებს კინოსექტორის მზარდ მოთხოვნებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეროვნულ კინოცენტრს ჰქონდეს საკუთარი შენობა, რომელიც მორგებული იქნება მის საქმიანობაზე, ექნება კინოდარბაზი, კინობიბლიოთეკა, ფილმოთეკა, საკონფერენციო დარბაზი და, აქედან გამომდინარე, მიმზიდველ სივრცედ იქცევა ყველა კინემატოგრაფისტისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

16 წლამდე გოგონათა ევროჩელენჯი თბილისში დღეს დაიწყება

ივლისის თვეში, საქართველომ ფიბას 20-წლამდელთა ევროჩელენჯს უმასპინძლა, სადაც ჩვენი ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდებმა. უნდა ითქვას, რომ ღონისძიებას წარმატებით ვუმასპინძლეთ. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია კიდევ ერთხელ დიდ მადლობას უხდის ყველა მხარდამჭერსა და პარტნიორს, რომლებმაც ფიბას 20-წლამდელთა ევროჩელენჯერის მაღალ დონეზე ორგანიზებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

9 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით კი, საქართველო კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს – ამჯერად ფიბას 16-წლამდე გოგონათა ევროჩელენჯერს. საქართველოს ალბანეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, მალტისა და სომხეთის გუნდები ეწვევიან.

ქვეყანაში არსებული პანდემიისა და მისი რთული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მაქსიმალურად ცდილობს განახორციელოს ის მნიშვნელოვანი აქტივობები, რომელიც არ შეაფერხებს და ხელს შეუწყობს მომავალი თაობისა და კალათბურთის განვითარებასა და წინსვლას.

ფიბას 16-წლამდე გოგონათა ევროჩელენჯერის თამაშები „ბაბლის“ პრინციპით, გულშემატკივრების დასწრების გარეშე გაიმართება. ტურნირი თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება.

ხუთივე ნაკრები თბილისში შეიკრიბება და ერთ სასტუმროში დაბინავდება. გუნდები მხოლოდ ვარჯიშებისთვის და თამაშებისთვის გადაადგილდებიან და ერთმანეთთან შეხება, გარდა მატჩების დღეს უშუალოდ სათამაშო მოედნისა, არ ექნებათ. აღნიშნული რეგულაციებით, 16-წლამდე გოგონათა ევროჩელენჯერის ჩატარება საერთაშორისო კალათბურთის ფედერაციამ კოვიდ 19-ის პანდემიის გამო გადაწყვიტა.

ტურნირის სათამაშო კალენდარი ასეთია:

9 აგვისტო: ალბანეთი-სომხეთი; მალტა-საქართველო;

10 აგვისტო: ჩრ.მაკედონია-მალტა; საქართველო-ალბანეთი;

11 აგვისტო: ალბანეთი-ჩრ.მაკედონია; სომხეთი-საქართველო;

13 აგვისტო: მალტა-ალბანეთი; სომხეთი-ჩრ.მაკედონია;

14 აგვისტო: სომხეთი-მალტა; საქართველო-ჩრ.მაკედონია.

ფეხბურთი

7 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. სუპერთასი

ლესტერი-სიტი ..... 1:0(0:0)

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბლექბერნი-სუონსი 2:1
ბრისტოლი-ბლექპული 1:1
დერბი-ჰადერსფილდი 1:1
კარდიფი-ბარნსლი 1:1
ქპრ-მილუოლი 1:1
ლუთონი-პიტერბრო 3:0
პრესტონი-ჰალი 1:4
სტოკი-რედინგი 3:2
შეფილდი-ბირმინგემი 0:1

საფთანგეთი. ლიგა 1

ლიონი-ბრესტი 1:1
ტრუა-პსჟ 1:2

საფთანგეთი. ლიგა 2

კაენი-სოშო 1:2
ამიენი-კევი 1:3
ვალანსიენი-ნიმი 0:3
ლეავრი-პარიზი 1:2
გრენობლი-გენგამი 0:0
დიჟონი-როდეზი 1:1
დიუნკერკი-ნიორი 1:2
ოსერი-აიაჩო 0:0
პო-ტულუზა 0:1

ეოხტუგალია. პხიმეიხა ლიგა

აროუკა-ეშტორილი 0:2
მორეირენშე-ბენფიკა 1:2
მარიტიმუ-ბრაგა 0:2

ნიდეხლანდები. სუპერთასი

აიაქსი-პსვ 0:4

ავსტხია. ბუნდესლიგა

კლაგენფურტი-ჰარტბერგი 4:3
რიდი-ადმირა 2:1
შტურმი-ალტახი 3:1

ბელგია. ა დივიზიონი

ბეერსხოტი-სენ ჟილი 0:3
მეხელენი-ეუპენი 1:3
სტ.ტრუიდენი-ვარეგემი 1:3
კორტრაიკი-გენკი 1:2

ხესეთი. პხემიეხლიგა

ზენიტი-კრასნოდარი 3:2
არსენალი-კრილია 2:1

არსენალის პირველი გოლი ზურიკო დავითაშვილმა გაიტანა

სპარტაკი-ნ.ნოვგოროდი 1:2

შოტლანდია. პხემიეხლიგა

დ.იუნაიტედი-რეინჯერსი 1:0
სტ.მირენი-ჰართსი 1:2

უკხაინა. პხემიეხლიგა

რუხი-ვერესი 2:1
დნიპრო-მარიუპოლი 2:1
შახტარი-ოლეკსანდრია 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

ჰალმშტადი-მალმიო 0:0
იორებრო-მიალბი 2:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ევროვნული ჩემპიონატი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ განახლდა

სამგურალი-დილა 1:3

წყალტუბო. 26 მაისი

0:1 კამარა (15), 1:1 ფონიავა (23პ), 1:2, 1:3 გაგნიძე (59, 90)

სამგურალი: მეშველიანი, ბანძელაძე, პატარკაციშვილი, გილმორი, ახვლედიანი, ბურჯანაძე, ტურე (ხელიძე 72), ფონიავა, დ.კირკიტაძე (გობრონიძე 89), ლექვთაძე (დოლიძე 36), ამინუ (ბუხაიძე 72)

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, სანტოსი, სილვა, ეტოუ (მანზი 25), მოსიაშვილი (მადინგა 46), გაგნიძე, ბიძინაშვილი, ღუდუშაური (ბუღრიძე 83), კამარა (ნემსაძე 86)

ეროვნული ლიგა ერთთვიანი შესვენების შემდეგ წყალტუბოში გამართული მატჩით განახლდა, რომელშიც ერთმანეთს სამგურალი და გორის დილა დაუპირისპირდნენ. მასპინძლები სტუმრებს სერიოზული საკადრო პრობლემებით დაუხვდნენ.

ეს მატჩს თავიდანვე შეეტყო და უკვე ანგარიში სტუმრებმა მე-15 წუთზე კამარას მიერ გატანილი გოლით გახსნეს.

წონასწორობა სამგურალმა მალევე პენალტით აღადგინა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა პაპუნა ფონიავას აქტიურობას მოჰყვა და თავადვე ზუსტად შეასრულა.

ამ მომენტში ტრავმა მიიღო დილას ფეხბურთელმა რომერიკ ეტოუმ, რომლის გადაყვანაც სასწრაფო გახდა საჭირო. გორელთა მცველმა მოტეხილობა 2 ადგილზე მიიღო – კოჭში და წვივში. პირველადი ინფორმაციით, ეტოუს დიდხანს მოუწევს მკურნალობა. საუბარია, მისი კარიერის დასრულებაზეც.

მეორე ტაიმი სრულად სტუმრების იყო. გორელები მე-60 წუთზე წინ ნიკა გაგნიძემ გაიყვანა. ტრავმამოშუშებულმა გაგნიძემ კიდევ ერთი გოლი ბოლო წუთზე მიითვალა, დუბლი შეასრულა და გუნდს სამი ქულა გაუნაღდა.

საბოლოოდ, დილამ მეტოქე 3:1 დაამარცხა და მნიშვნელოვანი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში.

ლოკომოტივი-შუქურა 1:0

საგურამო. ლოკო-საგურამო

1:0 კაკაშვილი (29სკ)

ლოკომოტივი: სპენკელინკი, ანდრონიკაშვილი, გაბაძე, ქველაძე (მჭედლიშვილი 46), უბილავა, დარცმელია, სამურკასოვი (იმრანი 71), შონია, დიასამიძე (კახაბრიშვილი 54), სიხარულიძე, გავაშელიშვილი (იაკობიძე 63)

შუქურა: თებიძე, ჭანტურია, კომახიძე, გაფრინდაშვილი, ვარშანიძე, ხმალაძე, სარდალიშვილი (კაბრალი 68), კაკაშვილი, ჯერალდო, მუსელიანი (ძალამიძე 78), ვერულიძე (ინგოროყვა 55)

გაძევება: ვარშანიძე (43)

დილას მსგავსად, 3 ქულით გაანაახლა სეზონი თბილისის ლოკომოტივმაც, რომელმაც საგურამოში ქობულეთის შუქურას უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა.

ერთადერთი გოლი, 29-ე წუთზე სტანდარტულ სიტუაციას მოჰყვა. მასპინძლების მიერ ჩამოწოდებული კუთხური, კახაბერ კაკაშვილს მოხვდა და შუქურას კარში შევარდა.

შეხვედრის 43-ე წუთზე, ირაკლი კვირიკაშვილმა ბექა ვარშანიძეს მე-2 ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გააძევა.

კაცნაკლული შუქურა ცდილობდა მატჩის გადარჩენას, მაგრამ არაფერი შეცვლილა და ლოკომ 3 ქულა მოიპოვა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	21	12	7	2	39-15	43
2.დინამო (თბ)	21	13	2	6	32-17	41
3.დილა	22	11	5	6	27-21	38
4.ლოკომოტივი	22	11	3	8	37-33	36
5.საბურთალო	21	9	8	4	31-21	35
6.სამგურალი	22	7	8	7	22-26	29
7.შუქურა	22	4	8	10	18-29	20
8.ტორპედო	21	3	10	8	18-24	19
9.თელავი	21	4	7	10	18-34	19
10.სამტრედია	21	2	4	15	18-40	10

სამგლოვიარო განცხადებები



დიდ მამულიშვილს მახათას წმიდა მთა ელოდება

არიან ადამიანები, ღვთისგან დალოცვილნი, რომელნიც არასდროს ბერდებიან და არასდროს კვდებიან. მთელი მიწიერი ცხოვრება ღმრთისადმი, მამულისა და მოყვასისადმი ერთგულებაში გაუტარებიათ.

ასეთ ღვთისნიერ ადამიანთა ზემნათ, სხივოსან, მარადიულ უკვდავებაში მოიაზრება დიდებული ქართველი, ჩინებული მთარგმნელი, ლიტერატორი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **ბეჟან სივსივაძე**.

ბატონი ბეჟანი 1929 წელს დაიბადა საჩხერის რაიონში. დედა პატარაობისას გარდაეცვალა, მამა ბოლშევიკურ რეპრესიებს შეეწირა. რთული ბავშვობა ჰქონდა. მიუხედავად დიდი სიდუხჭირისა, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, შემდეგ უნივერსიტეტის იურიდიული და ფილოლოგიის ფაკულტეტები, ინგლისური ენის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, უცხო ენათა ინსტიტუტიც წარჩინებით დაამთავრა.

ახალგაზრდობიდანვე დემონსტრაციულად გაემიჯნა იმდროინდელ სისტემას, რომელიც ღირებულებითად მიუღებელი იყო მისთვის, გახდა დისიდენტი, მოგვიანებით კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი. პარალელურად ეწეოდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება-შესწავლას, თარგმნიდა ინგლისურიდან, არაერთ პუბლიკაციაში აფასებდა მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს.

როგორც არაპარტიულმა, მხოლოდ 54 წლის ასაკში შეძლო ოფიციალურად მუშაობის დაწყება მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი კოლეგიის მთავარ რედაქტორ-კონსულტანტად იოსებ ნონეშვილის, ნოდარ დუმბაძის, ნიკა აგიაშვილის და სხვათა ძალისხმევით.

ბეჟან სივსივაძის ინტერესის უმთავრეს სფეროს წარმოადგენდა ამერიკული პუბლიცისტიკა და მხატვრული ლიტერატურა. იგი გახლდათ ერთ-ერთი ნოვატორი, რომელმაც საბჭოთა სინამდვილეში თარგმნა მე-20 საუკუნის ამერიკული სოციალურ-პოლიტიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშები. 1963 წლიდან სისტემატიურად ბეჭდავდა თარგმანებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, რეცენზიებს. რინგ ლარდნერის, თომას ვულფის, გრემ გრინის თარგმანების შემდეგ, 1972 წელს გამოსცა ბრეტ ჰარტის რჩეულ თხზულებათა ორტომეული, ხოლო 1981 წელს დიდი ამერიკელი მწერლის, ჯონ სტაინბეკის სახელგანთქმული რომანი „მრისხანების მტევნები“, რომელიც აღიარებულია „მობი დიკისა“ და „ბალახის ფოთლების“ რანგის ნაწარმოებად და მიიჩნევა სტაინბეკის შემოქმედების გვირგვინად. თარგმანი, ლიტერატურულ-კრიტიკულ წრეებში, გამოცემისთანავე შეფასდა, როგორც კონგენიალური (გიგლა სარიშვილი, ელგუჯა მაღრაძე, ნოდარ დუმბაძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, რევაზ მიშველაძე...). ბეჟან სივსივაძის თარგმანებში დიდი ოსტატობით არის შენარჩუნებული ავტორთა ხელწერა, თხრობის დინამიურობა, რიტმი, ჰარმონია... ცხადად ჩანს ინგლისური ენის დიალექტების უმაღლეს დონეზე ფლობა, მათი შესანიშნავი გადმოქართულება, რაც მთარგმნელის დიდ შრომასა და ნიჭიერებაზე მეტყველებს...

„მრისხანების მტევნების“ თარგმანის გამოცემის შემდეგ, იგი გახდა მწერალთა კავშირის წევრი, სადაც ირიცხებოდა სიცოცხლის ბოლომდე, ასევე აქტიურად იყო ჩართული ლიტერატურულ პროცესში მხატვრული თარგმანის კრიტიკის განხრით, 90-იან წლებში ერთ-ერთმა პირველმა დააარსა კერძო გამომცემლობა და ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობასაც, იმჟამინდელი ურთულესი პირობების მიუხედავად.

ბატონი ბეჟანი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვა-შენარჩუნებას, რასაც არაერთი ნარკვევი და პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. წლების მანძილზე მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აგროვებდა და იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რაც შეადგენს შვიდ ხელნაწერ ტომს და დაცულია ლიტერატურის ინსტიტუტში.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, ასევე კავშირის თანათავმჯდომარეებმა და ოჯახი წევრებმა: მეუღლემ ლილი იმედაშვილმა, შვილებმა შორენა, ბაგრატ, ზვიად და ცოტნე სივსივაძეებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობას (ყოფილ პრემიერ-მინისტრს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალაქის მერს), რათა ბატონ ბეჟან სივსივაძის ნეშტი გადასვენებულ იქნას მახათას მთის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

იმედია, ჩვენი ხელისუფლება პატივს მიაგებს დიდ მამულიშვილს და მახათას წმიდა მთაზე დავანებით, ბეჟან სივსივაძის სული და ღვაწლი, უფრო ამაღლდება.

ნარო კოლხელი (ნარიმან იაშაღაშვილი) მწერალი, პუბლიცისტი

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პატიმრობა ძალიან მკაცრ პირობებში; 2. ქართველი ნიჩბოსანი მამაკაცი, ევროპის ჩემპიონი; 3. მსხლის ფორმის მქონე ზეთით მდიდარი ტროპიკული ხილი; 5. ტყვედ წაყვანილი ქართველებისგან შემდგარი ჯარი ოსმალეთში; 7. მადრიდის „რეალის“ ფრანგი ფეხბურთელი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. სიცილიური სადესერტო ღვინო; 15. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 16. პიტნითა და ყინულით შეზავებული რომი ან ვისკი; 18. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 4. საბილიარდოს მომსახურე პირი; 6. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 8. დანიის დედაქალაქი; 10. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 11. პოლონეთის პრეზიდენტი; 12. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი, პროფესორი; 14. ბაგირზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 17. კუთხე საქართველოში; 19. ოპერა „ატილას“ კომპოზიტორი; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. ქართული გაზეთი; 22. სამძებრო პოლიციის აგენტი; 23. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტოიოტა; 2. ორენი; 3. ტორფი; 5. კრკა; 6. ნაგანი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. პრომილე; 14. ჰელიოსი; 15. ნიმეირი; 19. ტროა.

თარაზულად: 1. ტრიფოლიატი; 4. კანკანი; 7. იომიური; 9. ფაზენდა; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. სატელიტი; 17. ტორნადო; 18. სიკოფანტი; 20. ნეკრესი; 21. ნეტო; 22. დიპტანკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰარიერი; 2. ძეფირელი; 3. ალიგოტე; 5. მარიჯანი; 7. მილიცია; 9. კონვულსია; 13. რაზდანი; 15. სულიკო; 16. პოპოლო; 18. დრაჟე.

თარაზულად: 4. სალამური; 6. სტენდალი; 8. ჩიბურდანიძე; 10. კვირიკე; 11. ნოტა; 12. დიუონი; 14. ისანი; 17. ქლესა; 19. კლოპი; 20. კორუფცია; 21. აიდა; 22. პოსეიდონი; 23. კეტჩერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.0993

ევრო
— 3.6600

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.3121

100 რუსული
რუბლი
— 4.2347

ამინდის პროგნოზი 9 აგვისტოსათვის

რონალდ კუმანი მესის დაემშვიდობა

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა მესის წასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას რთულად წარმოუდგენია ბარსელონა მესის გარეშე და ლეო კიდევ შეძლებს მაღალ დონეზე თამაშს.

კუმანმა დაამატა, რომ მესისთან ერთად მუშაობა მისთვის დიდი პატივი იყო:

– მინდა მას მხოლოდ საუკეთესო ვუსურვო, რადგან მესი ამას იმსახურებს. მასთან ერთად მუშაობით 1 წელიწადში ბევრი რამ ვისწავლე და ამ გამოცდილებას მომავალში აუცილებლად გამოვიყენებ.

ჯეკო კარიერას ინტერში გააგრძელებს

ბოსნიელმა ფორვარდმა ედინ ჯეკომ ინტერთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ის კარიერას სწორედ მილანურ კლუბში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ ჯეკო აქამდე რომას ღირსებას იცავდა და მან ამ გუნდში 5 წელიწადი გაატარა.

ცნობილი კი ჯეკო მანჩესტერ სიტიში გახდა და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ჯეკომ ბოლომდე იმედების გამართლება ვერ შეძლო.

ლუკაკუ ჩელსიში დაბრუნდა



რომელუ ლუკაკუ კარიერას ჩელსიში გააგრძელებს. ეს ინფორმაცია ჩელსიმ ოფიციალურად დაადასტურა.

სავარაუდოდ, ლონდონელებს ეს ტრანსფერი 100 მილიონამდე დაუჯდებათ, მაგრამ ლუკაკუს გასულ სეზონში თამაშს თუ გავითვალისწინებთ, ეს თანხა ფუჭად დახარჯული არ იქნება.

ლუკაკუ ჩელსიში ადრე თამაშობდა, ამიტომ ეს მისთვის დაბრუნება იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

•••

სამუშაოს დაწყების მსურველს გასაუბრებაზე ეკითხებიან:

– შეგიძლიათ თქვენი ძლიერი თვისება დაგვისახელოთ?

– „არას“ თქმა შემიძლია.

– და შეგიძლიათ მოგვიყვანოთ ისეთი მაგალითი, როდესაც ამან სარგებლობა მოგიტანათ?

– არა.

•••

კონკია:

– ფეხსაცმელი მომერგო და ქორწილი როდის გვექნება?

– ეს ჯერ ნახევარფინალი იყო. ახლა ბიუსჰალტერი უნდა მოგარგო...

•••

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– მართალია, რომ ცოლიანი მამაკაცები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე უცოლოები?

– მართალია, უფრო დიდხანს... მტანჯველად დიდხანს...

•••

გვირაბიდან გამოსული ავტომობილი პატრულმა გააჩერა და მძღოლს ეკითხება:

– გვირაბში შემოსვლისას რატომ არ ჩართეთ განათება?

– სოფლიდან ვარ და მე რა ვიცი, საიდან ირთვება თქვენ გვირაბში განათება?!

•••

ნაცნობები ქეიფობენ. ერთი არ სვამს და მეორე ეკითხება:

– კი მაგრამ, რატომ არ სვამ? ცოტა გამხიარულდები.

– მე ფხიზელიც კარგად ვაფრენ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეკა სებისკვერაძემ ახალი ალბომი გამოუშვა

მომღერალმა ნეკა სებისკვერაძემ ახალი, რიგით მეოთხე ალბომი გამოუშვა.

„ლურჯი ცის მიღმა“ – ასე ეწოდება ალბომს, რომელშიც შევიდა 2007-2011 წლებში ჩაწერილი სიმღერები.

ალბომის ყდის დიზაინი ბესო დანელიას ეკუთვნის, ფოტოს ავტორი კი ზაქარია ჭელიძეა.

ნეკას ალბომის მოსმენა სხვადასხვა მუსიკალურ სტრიმინგ პლატფორმებზეა შესაძლებელი.

ნინო ძოწენიძის პროტესტი

მომღერალი ნინო ძოწენიძე აცხადებს, რომ ეპიდემიოლოგების მიერ კოვიდით გარდაცვლილთა მატებით ხალხის დაშინება უსამართლობაა:

– ხალხნო, ხო არ გაგიჟდით, რაში წერია და რას ნიშნავს ამხელა მსხვერპლზე წინასწარ საუბარი! ესე იგი ვერ მართავთ და ხალხი იხოცება, ეს თქვენი ბრალია! ასეთი საშინელი ინფორმაციით აცრას არა, მაგრამ ხალხს ფსიქიატრიულში ნამდვილად მოახვედრებთ და რა დაკეტვა, მაშინ კეთილი ინებეთ და ფინანსები გამოჰყავით ხალხისთვის! თქვენ, გავიგეთ, რომ ხელფასები გაქვთ და საკმაოდ მაღალიც, ამიტომაც არ გადარდებთ არც ჩაკეტვა და არც, როცა საჭიროა, მოკეტვაც.

გივი ალხაზიშვილი მუხათგვერდის სასაფლაოზე დაკრძალეს

პოეტი გივი ალხაზიშვილი, რომელიც 77 წლის ასაკში გარდაიცვალა, მუხათგვერდის სასაფლაოზე დაკრძალეს.

საზოგადოების ნაწილს მიაჩნდა, რომ პოეტი მახათას პანთეონში უნდა დაეკრძალათ, თუმცა გივი ალხაზიშვილის საბოლოო განსასვენებელი მუხათგვერდის სასაფლაო აღმოჩნდა.

როგორც თემო ჭახნაკიამ განაცხადა:

– პოეტი უკანასკნელ გზაზე 30-მდე ადამიანმა გააცილა, მათ შორის არც ერთი მწერალი.

ლია სალაყაია კორონა ვირუსმა იმსხვერპლა

მგალობელი, არაერთი თაობის აღმზრდელი ლია სალაყაია კორონა ვირუსმა იმსხვერპლა.

სამწუხარო ინფორმაცია ნიკოლოზ რაჭველმა გაავრცელა:

– უსაზღვროდ ვწუხვარ და განვიცდი ლია სალაყაიას გარდაცვალებას.

სასულიერო მუსიკის წრემ კარგად იცის მისი ღვაწლის შესახებ, მაგრამ ქალბატონი ლიას უსაზღვრო თავმდაბლობის გამო, ფართო საზოგადოებამ შესაძლოა ნაკლებად.

ერთი წინადადებით შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ის იყო მოსიარულე წმინდანი!

ისე როგორც ლია სალაყაია ქართულ გალობას, ახალგაზრდობას, სამშობლოს და ქრისტიანობას ემსახურა, არც კი ვიცი, ჩვენს ეპოქაში მოიძებნებიან თუ არა მსგავსნი...

უდიდეს სევდასთან ერთად განსაკუთრებული მადლიერებით ვარ სავსე, რომ ბევრი საუკეთესო მოგონება მაკავშირებს მასთან, სწორედ მისი დამსახურებით გავაცნობიერე, რა დიდი მუსიკალური მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ღირსეულმა წინაპრებმა, გენიოსებმა, ვინც ქმნიდნენ დედამიწის მასშტაბის შედევრებს – ქართულ საგალობლებს...

ლია სალაყაია სამოთხის სამოთხეში დაიმკვიდრებს სასუფეველს და ახლა მას ვავედრებ ჩვენს სულებსა და ჩვენს სამშობლოს.

და ესეც კორონას მორიგი დარტყმა.

პ.ს. ლია სალაყაია ათეული წლების განმავლობაში ქართული საეკლესიო გალობის მომავალი თაობებისთვის შესწავლას ემსახურა, 40 წელი ქართულ ტრადიციულ გალობას მიუძღვნა.

– ქართული მუსიკალური ენა და ქართული საეკლესიო გალობა კაცობრიობის მუსიკალური კულტურის მწვერვალია. ეს არის ქართული ფენომენი – ეს ლია სალაყაიას სიტყვებია.

ათეული წლების განმავლობაში საქართველოში მოგზაურობდა, ასწავლიდა ქართულ საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს. იგი გახლდათ პირველი საკვირაო სკოლის დამაარსებელი სიონში. დრო არასდროს ჰქონდა. ყველა დღეს თავის სახელს არქმევდა – დუშეთის სალოტბარო სკოლის დღე, პატიმარი ქალების დღე, სამცხე-ჯავახეთის დღე, სამების სამრევლო სკოლის გოგო-ბიჭების დღე.

ხშირად იხსენებდა, რომ ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, პირველად კუკიაზე წმინდა ნინოს ტაძარში იგალობა. მის გვარში ბაბუა – ლადი სალაყაია – იყო სახალხო მომღერალი, ავტორი მეგრული სიმღერებისა: სისა ტურა; ართი ვარდი გამკოპწილი; ვაი, შური საყვარელი...

გადმოცემით იცოდა, რომ მისი მოსწავლე იყო ნოკო ხურცია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბაბუას 10 წლის ვაჟი გარდაეცვალა, აღარ უმღერია. ამბობდა, ალბათ, ამიტომაც, თავისი თაობის მომღერლებთან შედარებით, მისი სახელი ნაკლებადაა ცნობილიო.

საქართველოს პატრიარქმა ლია სალაყაია საეკლესიო გალობის აღორძინების საქმეში განსაკუთრებული წვლილისთვის წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. მისი ღვაწლი შეუფასებელი და განუზომელია ქართული გალობის აღდგენა-პოპულარიზების საქმეში.

რეგენტთან გამომშვიდობება ნებისმიერ მსურველს სამების ტაძარში შეეძლო. პატრიარქის გადაწყვეტილებით, ლია სალაყაიას დაკრძალვა სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში გადაწყდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალი მრავალი წელი ეძებდა დას, რომელიც მისი მეზობელი აღმოჩნდა

ინგლისის ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ პორტსმუთის მცხოვრებმა ქალმა შეიტყო, რომ და, რომელსაც ის მრავალი წელი ეძებდა, მის მეზობლად ცხოვრობდა.

57 წლის ბეკი როუდსი ჩვილ ასაკში იშვილეს, იმის გამო, რომ მის ბიოლოგიურ დედას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აწუხებდა და შიშობდა, რომ გოგონას ნორმალურად გაზრდას ვერ შეძლებდა. დედობილმა ჯერ კიდევ ბავშვობაში უთხრა მას, რომ და ჰყავდა.

– დედასთან ერთად მრავალი წელი ვეძებდით. სოციალურ სამსახურში მხოლოდ ჩემი საბუთები ვნახეთ, ხოლო კეიტიზე ვერაფერი გავიგეთ, – იხსენებს როუდსი.

54 წლის კეიტ ბრაუნი როუდის დაბადებიდან სამი წლის შემდეგ გაჩნდა და ბიოლოგიურ დედას ისევ უარის თქმა მოუხდა შვილზე. გაშვილებულ გოგონას არ უამბეს, რომ მას და ჰყავდა, სამაგიეროდ, ის ძალიან მეგობრობდა ნახევარძმა ჯონ ნიუჰემთან, თუმცა მოგვიანებით მამობილმა და დედობილმა მასზე უარი თქვეს, რის მიზეზადაც ბიჭის „მძიმე ხასიათი“ დასახელდა.

როდესაც ბრაუნი წამოიზარდა, ძმის მოძებნა გადაწყვიტა და მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ დაც ჰყავდა, სახელად ბეკი. საბოლოოდ ქალმა მოახერხა ძმის და დის პოვნა. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ ათწლეულების განმავლობაში დები პორტსმუთში ერთმანეთისგან ხუთ კილომეტრზე ნაკლები მანძილის დაშორებით ცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთს პირველად 2020 წლის იანვარში შეხვდნენ და მას შემდეგ ოჯახებით მეგობრობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 აგვისტოსათვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვრიანი სიტყვა

შვეულად: 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 2. ულელტეხილი საქართველოში; 3. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 6. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. შვეიცარიაში მდებარე ევროპაში ყველაზე გრძელი საავტომობილო გვირაბი; 14. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 15. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. მდინარე კახეთში.

თარაზულად: 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 7. მსხვერპლად შეწირული რამე; 9. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 12. მარტვილის ძველი სახელწოდება; 16. საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელი; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. ყველზე დიდი ტბა იაპონიაში; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა